გაზეთი ზევრის. „ვერსიის" ერთი

ვერსია

№27 (1668) 26 ივლისი — 1 აგვისტო ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

თემურ ბასილია: „საქართველომ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს ჩინეთთან, უნდა ჰქონდეს მასთან კარგი, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა“

რა ფუნქციას ასრულებს ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკაში და რა პერსპექტივები აქვს მას მსოფლიოს ახალი გადანაწილების კონტექსტში

დიდი განხეთქილების ახალი რაუნდი ენმ-ში

ვინ აშენებს ტიტანიკს – პოლიტიკური კულუარები ყოფილი მმართველი პარტიიდან

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„ძალიან საშიშია!“

რა განსხვავებაა დასავლური და რუსული განათლების სტანდარტებს შორის და რა საფრთხეს შეიცავს ქართულ-რუსული უნივერსიტეტის გახსნა

გიორგი სანაიას მკვლელობის 22-წლიანი საიდუმლო

ვის ემალებოდა მკვლელობის დღეს ჟურნალისტი და რატომ მოკლეს პრეზიდენტ შევარდნაძის დაცვის წევრი



შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკში შეხვედრებს განაგრძობენ

ახალგაზრდულ ბანაკს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძის შემდეგ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დირექტორი, გიორგი არსოშვილი და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები ესტუმრნენ.

სტუმრებმა ბანაკში მყოფ მოზარდებს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე მიაწოდეს ინფორმაცია. შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ყურადღება გამახვილდა დანაშაულის პრევენციისთვის სამართალდამცველებთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც.

შეხვედრის მიზანია მოზარდებში დანაშაულის პრევენცია, ცნობიერების ამაღლება, როგორც საგზაო, სახანძრო, ასევე სამოქალაქო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით.

ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელ, რეკრეაციულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ოფიციალური სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის პროვინციას ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გრიგოლ ბესელია, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ბუხრაშვილი, სასაზღვრო პოლიციის უფროსის პირველი მოადგილე გოჩა ჯანჯღავა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გურამ დავითაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები, რომლებსაც თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, ართვინის, არდაჰანის, რიზეს და ტრაბზონის პროვინციების პოლიციის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ორმხრივ შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პოლიციის ატაშე თურქეთის რესპუბლიკაში, გიორგი მეზვრიშვილი და ქალაქ ტრაპიზონში, საქართველოს გენერალური კონსული, გელა ჯაფარიძე.

აღნიშნული ვიზიტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა და მის მიზანს ორი ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონების სამართალდამცავ დანაყოფებს შორის არსებული თანამშრომლობისა და სასაზღვრო უსაფრთხოების მიმართულებით მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვა წარმოადგენდა.

ორმხრივი შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მოსაზღვრე რეგიონებს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ვიზიტის დასასრულს, ქართველმა სამართალდამცავებმა თურქ კოლეგებს მადლობა გადაუხადეს მასპინძლობისთვის და საპასუხო ვიზიტით საქართველოში მოიწვიეს.

ზურაბ ჯაფარიძის ცემისთვის ბრალდებული გირაოთი გაათავისუფლეს

გირჩი – მეტი თავისუფლების ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის ცემისთვის დაკავებული პირი გორის რაიონულმა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელ Facebook-ში, თავად ჯაფარიძე წერს.

„გორში რომ ჩამარტყა, ის კაცი გაუშვიათ გირაოთი, ან აქამდე რას აწვალეს“, – წერს ჯაფარიძე.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებულს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 2 000-ლარიანი გირაოთი შეუცვალა.

ცნობისთვის, გირჩი – მეტი თავისუფლების ლიდერს, ზურაბ ჯაფარიძეს თავს გორში, „სმარტთან“, 17 ივნისს დაესხნენ. თავდასხმის შედეგად, ჯაფარიძემ დაზიანება თვალის არეში მიიღო. ის რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

დაკავებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორად ზურაბ ზუბადალაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შსს-ს აკადემიის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, ზურაბ ზუბადალაშვილი წარუდგინა. ალექსანდრე დარახველიძემ ახლადდანიშნულ რექტორთან ერთად აკადემიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო გეგმები განიხილა. ზურაბ ზუბადალაშვილი, შსს-ს აკადემიის რექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო.

ზურაბ ზუბადალაშვილი უწყებაში 24 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციას იკავებდა.

საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში, თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის ექსტრადაცია განხორციელდა

პროკურატურის ცნობით, აღნიშნული პირი თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული წამებისთვის, მუქარისთვის, ჯგუფურად ჩადენილი გაუპატიურებისა და გაუპატიურებაში დახმარებისთვის იძებნებოდა.

„თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი ექსტრადაციის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ძებნილი ბათუმში დააკავეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადაცია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დასაშვებად იქნა ცნობილი, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა. 2023 წლის 7 ივლისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ზემოხსენებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადაციის თაობაზე, რის შემდგომაც ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცა.

საქართველოს პროკურატურა, ძებნილი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით, პარტნიორი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან წარმატებით თანამშრომლობის მზადყოფნას მომავალშიც გამოხატავს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

დიდი განხეთქილების ახალი რაუნდი ენმ-ში

ვინ აშენებს ტიტანიკს – პოლიტიკური კულუარები ყოფილი მმართველი პარტიიდან

ნინო დოლიძე

მართალია, ამის ილუზიას ქმნიდნენ, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულები და შედუღაბებულები არასოდეს ყოფილან ანუ ფარული მტრობა და ქვედინებები, ერთ დროს ძლევამოსილ პარტიაში ყოველთვის იყო, აი, მაშინაც კი, როცა მიხეილ სააკაშვილის შიშით ცაში ფრინველი ვერ გაიჭაჭანებდა, მიწაზე კი – ჭიანჭველა. თუმცა, მიშას ფაქტორი იმდენად ძლიერი გახლდათ, რომ რიგითი თუ შედარებით პრივილიგირებული „ნაცები“ ერთმანეთის მიმართ მტრობას საჯაროდ ვერ გამოხატავდნენ. ახლა კი, როცა მიხეილ სააკაშვილი „დამცრობილია“, ენმ-ში ისეთი ამბები ხდება, რომ „დედა შვილს არ აიყვანს“.

მოკლედ, ნაციონალური მოძრაობა ორადაა გაყოფილი ანუ ერთ მხარეს ლევან ხაბეიშვილის მიმდევრები არიან, მეორე მხარეს კი – ნიკა მელიასი. მართალია, მელიას ფრთას პარტია ოფიციალურად არ დაუტოვებია, მაგრამ ჯერ კიდევ თვეების წინ გავრცელდა ცნობა, რომ ექსთავმჯდომარემ ცალკე ოფისი იქირავა. ამასთან, ცნობილია, რომ ახალი მენეჯმენტი, ესე იგი, ხაბეიშვილი და მისი პოლიტიკური და-ძმები მელიას „სასტავს“ პარტიის საქმეებში არ ახედებენ და უფრო მეტიც, არც პარტიულ შეკრებებზე ეპატიჟებიან.

ასე მოხდა ორი დღის წინაც, როცა მორიგ შეკრებაზე „მელიისტები“ არ დაპატიჟეს. დაპატიჟებულ სტუმრებს შორის არ აღმოჩნდნენ რეგიონული საკრებულოების წევრები, რომლებიც პარტიაში არსებულ ვითარებას ღიად აკრიტიკებენ.

ნაციონალურ მოძრაობაში ტიტანიკს აშენებენ და მასზე უნდათ ყველას აყვანა, – ასე აფასებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი ყოფილ მმართველ გუნდში მიმდინარე მოვლენებს.

„ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის არჩევანი, ეს მომავლის კი არა, წარსულსა და აწმყოს შორის არჩევანია და „ოცნებისთვის“, რა თქმა უნდა, საჩუქარია. მიშა ჰყავდა ერთი საფრთხობელა, რომელიც ახლა გალიაში უზის და დაემატა ახლა მერაბიშვილი და კეზერაშვილი. შოკოლადშია „ოცნება“ ახლა, ყველაფერი ამით. ვაშაძეს თავისი ინტერესი აქვს, რომ ორ კაცს შეიყვანს პარლამენტში, მაგრამ ეს არ არის გამარჯვების ფორმულა, ეს არის ბიძინას თამაშის ფორმულა.

„ნაციონალური მოძრაობის“ პრობლემა ახლა „ქართული ოცნება“ კი არაა, მათი პრობლემაა დანარჩენი ოპოზიცია, ისინი ეჯავრებათ, იმათ ეომებიან, ნახავთ თქვენ, რომ იმათ გამოუცხადებენ ძირითად ომს, ვინც მათი გემის მილმა დარჩება, თვითონ ტიტანიკს აშენებენ ახლა და იმ ტიტანიკზე უნდათ ყველას აყვანა“, – თქვა ხუხაშვილმა „პალიტრას“ ეთერში.

ყველაფერ ამის პარალელურად, ლევან ხაბეიშვილი ნიკა მელიასთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზადყოფნას გამოთქვამს, თუმცა მისი ეს სიტყვები თავად ექსთავმჯდომარის გუნდისთვის არადამაჯერებელია.

ამ შიდა პარტიული კონფლიქტის ფონზე, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ გიორგი მარგველაშვილი, შესაძლოა, 2024 წლის არჩევნებზე, ნაციონალური მოძრაობის ახალი სახე გახდეს.

გარკვეული წრეებისთვის, გიორგი მარგველაშვილი „პოლიტიკის მეტრია“, თუმცა ანალიტიკოსების უმრავლესობა ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტს პატივს არ სცემს. აი, მაგალითად, ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა სოცქსელში წერს:

„არ არსებობს პოლიტიკოსი, მიშადან ბიძინამდე, რომელზედაც ვიტყვი – ვერ ვიტან, არ მევასება, მეზიზღება. ყველას აქვს რაღაც მისაღები და რაღაც მიუღებელი, ვის მეტი – ვის ნაკლები, ამასაც არ აქვს მნიშვნელობა.

ერთადერთი ტიპი, ვინც არ მევასება (!) და ვერ ვიტან, უფრო მეტიც, მრცხვენია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ერქვა, არის მარგველაშვილი! სამარცხვინო ტიპია“.

ზოგადად, მარგველაშვილი ერთობ ამოუცნობი პერსონა თუნდაც იმიტომაა, რომ მისი პოლიტიკური ორიენტაცია ისე მერყეობს, როგორც ლერწამი. ასე, მაგალითად, იყო დრო, როცა ნინო ბურჯანაძის გვერდით იდგა ანუ ბურჯანაძის ფონდს ხელმძღვანელობდა. ბურჯანაძის კრემლისადმი სიმპათიები საქვეყნოდ ცნობილია და ახლა, ამ კუთხით სიღრმეებში წასვლა არ ღირს. ჰოდა, დღეს მარგველაშვილი პროდასავლური ვექტორის ლამის ფლაგმანად გვევლინება. შესაბამისად, ნეტავ, როდის იყო მეოთხე პრეზიდენტი გულწრფელი – ახლა, როცა ევროპისკენ მიისწრაფვის თუ მაშინ, როცა ბურჯანაძის ფონდს ედგა სათავეში?

რაც შეეხება ენმ-ში არსებულ დაპირისპირებას, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კეზერაშვილ-მერაბიშვილის თემაა ანუ იმთავითვე ითქვა, რომ ლევან ხაბეიშვილი თავმჯდომარედ, სწორედ ზემოხსენებულმა ტანდემმა „დანიშნა“. მელიას კი „კეზერასა“ და იგივე ვანოსთან ცუდი ურთიერთობა აქვს. ამიტომაც არის, რომ მელიას მიმდევრები „ხაბეს“ ღიად თუ ფარულად აკრიტიკებენ.

ენმ-ში არსებულ განხეთქილებაზე მიხეილ სააკაშვილს მყარი პოზიცია არ დაუფიქსირება, თუმცა ხაბეიშვილ-ვაშაძის ერთობის შექმნა დადებითად შეაფასა.

„მივესალმები გამარჯვების პლატფორმის შექმნას, ძალიან საინტერესო ლიდერებით. განსაკუთრებით მივესალმები იმ პრინციპს, რომ ყველა თანამდებობის კანდიდატურა უნდა განაწილდეს იმის მიხედვით, თუ კონკრეტულ ადამიანებს როგორი მხარდაჭერა ექნებათ კონკრეტული მომენტისთვის. ამის მიხედვით დადგინდება მომავალი პრემიერიც და მინისტრებიც.

თან არ დაგვავიწყდეს, რომ „ხელისუფლება" კოშმარულ სიზმარშიც კი არ უშვებს იმას, რაც მე გავაკეთე 2012-ში – კერძოდ კი ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას. მაგრამ მოუწევთ და რაც უფრო დროზე დაუშვებენ საკუთარ თავში ამ აზრს, მით უკეთესი მათთვის და, რა თქმა უნდა, ქვეყნის მომავლისთვის.

განსაკუთრებით მინდა ვთქვა გიორგი ვაშაძეზე.

მან მოასწრო და იყო ვარდების რევოლუციის პირველ ხელისუფლებაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური რეფორმატორი, არა მხოლოდ იუსტიციის სახლების, არამედ ბევრი სხვა ძალიან საინტერესო იდეების გენერატორი.

შემდეგ ის აღმოჩნდა კიევში სადაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა უკრაინელ დეპუტატებს და სამოქალაქო აქტივისტებს შორის, ასევე, საერთაშორისო არენაზე. მის სიტყვას ნამდვილად აქვს წონა მთელს უკრაინაში, რაც უკრაინის საბოლოოდ გამარჯვების შემდეგ ძალიან სასარგებლო იქნება.

რა თქმა უნდა, ამ წლებში ჩვენ გვიკამათია და არც ყველაფერზე ვთანმხდებოდით, მაგრამ მის როლს მე ვაფასებ როგორც ძალიან დადებითს ქართულ პოლიტიკაში და უკიდურესად სასარგებლოდ ახალ გაერთიანებაში“, – დაწერა სააკაშვილმა სოცქსელში.

ესე იგი, გამოდის, რომ მეოთხე პრეზიდენტი შიდა პარტიულ ბრძოლაში ხაბეიშვილის მხარესაა. მელიას და მიშას იდეალური ურთიერთობა რომ არასოდეს ჰქონიათ, ეს ძველი ამბავია. შესაბამისად, რატომ უნდა გამოირიცხოს, რომ მელიას გადაყენების კამპანია, სააკაშვილის დავალებით, კეზერაშვილ-მერაბიშვილმა აწარმოეს?

რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია. ჰოდა, ხუხაშვილის თქმისა არ იყოს, „ტიტანიკი“, რომელსაც ენმ აშენებს, ან ნამდვილი ტიტანიკის ბედს გაიზიარებს და ქართული პოლიტიკური ოკეანის ფსკერზე აღმოჩნდება, ან შესაძლოა, არ ჩაიძიროს, მაგრამ თავისუფალი ცურვა ვღარ გააგრძელოს.

ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა მოხდება...

გიორგი სანაიას მკვლელობის 22-წლიანი საიდუმლო

ნინო დოლიძე

დღეს 26 ივლისია – ერთ-ერთი ტრაგიკული დღე ქართული ჟურნალისტიკისა და, ზოგადად, ქვეყნისთვის. ზუსტად 22 წლის წინ, 2001 წლის 26 ივლისს, მაშინდელი „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოჩნდა ტიტრი, რომლითაც საზოგადოებამ გაიგო, რომ გიორგი სანაია დაიღუპა, თუმცა კარგა ხნის განმავლობაში, ინფორმაციული ვაკუუმი იყო და თითქმის არავინ იცოდა, რას ემსხვერპლა ჟურნალისტი. მახსოვს, კოლეგები ერთმანეთს ვურეკავდით და ვცდილობდით, რამე ახალი დეტალი გაგვეგო. ბოლოს, ცნობილი გახდა, რომ გიორგი მოკლეს. მალევე გავრცელდა ოფიციალური ვერსია, რომ მკვლელობის მიზეზი პირადი უთანხმოება გახდა... მოგვიანებით, გიორგის მკვლელად, ვინმე, გრიგოლ ხურცილავა გამოაცხადეს... არადა, არც მაშინ და არც ახლა ეჭვი თითქმის არავის ეპარება, რომ გიორგის მკვლელობა პირად ურთიერთობებს არ უკავშირდებოდა... მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ორი ხელისუფლება შეიცვალა, არავის უცდია, ბოლო წლების ამ ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და სკანდალური მკვლელობისთვის ნათელი მოეფინა.



ვის ემალებოდა მკვლელობის დღეს ჟურნალისტი და რატომ მოკლეს პრეზიდენტ შევარდნაძის დაცვის წევრი

ჩნდება შეკითხვა, რატომ უვლის ყველა გვერდს ამ საქმეს, რა მოხდა გიორგი სანაიას გარშემო ისეთი, რომ ამ საქმეში „ცხვირის ჩაყოფას“ ყველა ერიდება? სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ყველაფერი „ცოტა“ გასაგები იყო, თუნდაც იმიტომ, რომ თავის დროზე ითქვა, ჟურნალისტის მკვლელობით რეფორმატორები ხალხის ქუჩაში გამოყვანას, რევოლუციის მოწყობას და შევარდნაძის ხელისუფლების დამხობას გეგმავდნენო ანუ გამოდის, რომ გიორგი სანაია, რომელსაც იმხანად ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა და მოსახლეობის ნდობითაც სარგებლობდა, გაწირეს?!

მაინც, როგორ ვითარებაში მოკლეს გიორგი სანაია? – ეს შეკითხვა დღემდე ბევრს აწუხებს და დღემდე ყველაზე სანდო ნარკობიზნესთან დაკავშირებული ვერსიაა.

გასათვალისწინებელია, თავის დროზე, „ნომერ პირველ ტერორისტად“ შერაცხული შოთა ჭიჭიაშვილის აზრიც, რომლის თქმითაც, გიორგი სანაიას მკვლელობა „ნაცმოძრაობას“ უკავშირდება. ეს კი იმისთვის გააკეთეს, რომ კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ შევარდნაძის რეჟიმისთვის. ამ ვერსიას შეიძლება ჰქონდეს არსებობის უფლება...

კიდევ ერთი დეტალი: სააკაშვილის ხელისუფლებას არასოდეს გამოუთქვამს აზრი სანაიას მკვლელობის ალტერნატიულ დეტალებზე... ერთი სიტყვით, ყველა გზას ნარკოტიკებთან მივყავართ.

გიორგის მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია, აწ გარდაცვლილ ცნობილ ჟურნალისტ კლარა აბრამიას ეკუთვნოდა, რომელმაც სანაიას მკვლელობაში ღიად დაადანაშაულა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, კახა თარგამაძე. აი, რა განაცხადა კლარა აბრამიამ ერთ-ერთ ინტერვიუში: **„სანაიას ჰქონდა სერიოზული მასალები და ვოდეოფირები, როგორ შემოდიოდა ავღანეთიდან, ბაქოს გავლით, თბილისში დიდძალი ნარკოტიკი, როგორ ასაწყობებდნენ მას „მაუდკამვოლის“ ფაბრიკის სარდაფებში და შემდეგ, ბათუმიდან როგორ გაჰქონდათ გემებით. ყველაფერ ამას ხელმძღვანელობდა კახა თარგამაძე. გიორგი სანაია იძიებდა ამ საქმეს. შუა აზიაშიც კი იყო ჩასული ამის გამო და სერიოზული მასალები მოაგროვა. სწორედ ამას შეეწირა გიორგი სანაია“.**

მაინც, რა იცოდა გიორგი სანაიამ? – იმისთვის, რომ მის გარშემო განვითარებული მოვლენების სრული სურათი დავხატოთ, უნდა გავიხსენოთ ყველა ცნობილი დეტალი, რაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხდებოდა.

იმ დროისთვის პანკისის თემა ყველა ჟურნალისტისთვის საინტერესო იყო და, ბუნებრივია, გიორგი სანაია ამ ჟურნალისტების რიცხვში შედიოდა. მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, გადაცემა „ღამის კურიერში“, პანკისიდან ადგილობრივი ვეფხია მარგოშვილი ჩაერთო და გიორგის უთხრა, თუ პანკისის შესახებ ბევრი გაინტერესებთ, ეთერს მიღმა ვისაუბროთო. შუამავლად დასახელდა ელენე თევდორაძე, რომელიც იმ დროს სტუდიაში იმყოფებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა და ელენე თევდორაძემ სასამართლოს განუცხადა, ვეფხია მარგოშვილმა მართლაც გამოატანა ვიდეოკასეტა გიორგი სანაიასთან. კასეტის გადაცემა პარლამენტის ფოიეში, ირმა ნადირაშვილის თანდასწრებით მოხდა. სწორედ იმ ღამეს მოკლეს გიორგი სანაია...

რა ინფორმაცია იყო ამ კასეტაზე? – ეს მოგვიანებით, სანაიას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გახდა ცნობილი და აი, როგორ: ვეფხია მარგოშვილი იმ დროისთვის გამომავალ ერთ-ერთ გაზეთს დაუკავშირდა და განაცხადა, რომ კასეტაში დასახელებული იყო პოლიციის მაღალჩინოსნებისა და ყველა ძალოვანი მინისტრის გვარები, რომლებიც პანკისის ნარკობიზნესს აკონტროლებდნენ და პანკისელ პარტნიორებთან, ჩეჩნეთიდან დაძრული საქონლის წილების გაყოფაზე ჰქონდათ დავა. ამ გაზეთს მარგოშვილი დაჰპირდა, რომ კასეტის ასლს სანდო პირის დახმარებით მიაწვდიდა, მაგრამ არ დასცალდა – საკუთარ ეზოში, დისტანციური ბომბით ააფეთქეს.

... ერთ-ერთი ვერსიით, ამ კასეტის შინაარსი კიდევ ერთმა ჟურნალისტმა იცოდა და ის გააფრთხილეს, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა, ამიტომ განზე გადგომა ურჩიეს. ინფორმაცია მოვლენების ცუდად განვითარების შესახებ კი „გარეთ“, თურმე, მაშინდელი პრეზიდენტის დაცვის ერთ-ერთმა წევრმა, ი.ჩ.-ძემ გამოიტანა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქმე მის ახლობელს ეხებოდა. ამ ამბავს უკავშირებენ ი.ჩ.-ძის ჯერ სამსახურიდან გაშვებას და შემდეგ, გაურკვეველ ვითარებაში მკვლელობას – საკუთარ ეზოში ჩაცხრილეს.

როგორც ჩანს, გიორგი სანაიაზე სიკვდილამდე ნადირობდნენ. როგორც მისი ყოფილი თანამშრომლები იხსენებენ, სიკვდილის დღეს გიორგი ვიღაცას ემალებოდა. ერთ-ერთი თანამშრომლისთვის ისიც კი უთქვამს, ისე დაჯექი, არავინ შემამჩნიოსო.

კიდევ ერთი დეტალი: სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, გიორგი სანაია ბათუმში, თურმე, ასლან აბაშიძის უშიშროების სამსახურის უფროსს, სოსო გოგიტიძეს, ასლან და მურად სმირბებსა და გიორგი თარგამაძეს შეხვდა. ეს იყო საიდუმლო შეხვედრა, რომელიც ბათუმის „ბუნგალოში“ შედგა და რომელსაც შემთხვევით, ადგილობრივი ჟურნალისტი შეესწრო. მაშინ, როცა ეს ამბავი გახმაურდა, გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ასლან სმირბამ კი, წერილობითი ახსნა-განმარტება გამოუგზავნა გამოძიებას, სადაც წერდა, რომ შეხვედრა გადაცემის დასაგეგმად შედგა. ისე, ითქვა ისიც, რომ „რუსთავი 2“-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა აწ განსვენებულ ჟვანიაზე ნაწყენი იყო და დაფინანსებას ასლან აბაშიძისგან ელოდა... მიუხედავად ამისა, არავის გასჩენია ეჭვი, თუ რა უნდოდათ შეხვედრაზე ძმებ სმირბებსა და სოსო გოგიტიძეს, რომლებსაც აჭარაში „ნარკომამებს“ ეძახდნენ.

ყველა ფაქტი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტის მკვლელობა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის მისაჩქმალად დაიგეგმა. შესაბამისად, თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, საქმის გამოძიება არასდროს მოხდება...

თემურ ბასილია: „საქართველომ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს ჩინეთთან, უნდა ჰქონდეს მასთან კარგი, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა“

მაკა რუხაძე

რა ფუნქციას ასრულებს ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკაში და რა პერსპექტივები აქვს მას მსოფლიო ახალი გადანაწილების კონტექსტში

თუ ფიქრობთ, რომ მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომი ცვლის ან მომავალში შეცვლის მსოფლიო პოლიტიკურ ან ეკონომიკურ წესრიგს, ცდებით. პოლიტოლოგებისა და ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, არც მეტი და არც ნაკლები, ამერიკასა და ჩინეთს შორის გლობალური პირველობისთვის მიმდინარე ბრძოლა გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

ფაქტია, რომ ახლა რუსული საფრთხე ბევრად უფრო აქტუალურია არა მარტო დასავლეთისთვის, არამედ საქართველოსთვის, მაგრამ ამერიკა-ჩინეთს შორის პაექრობა ჩვენი ქვეყნისთვისაც გადამწყვეტი მოვლენაა. მეტიც, საერთაშორისო ექსპერტებს შორის, დიდი ხანია, მუსირებს აზრთა სხვადასხვაობა – ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩინეთის წინააღმდეგ, შესაძლოა, აშშ და რუსეთიც კი გარიგდნენ, თუმცა იგივე ექსპერტების დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას უტოპიურს უწოდებს.

ნაწილს მიაჩნია, რომ ჩინეთის წინააღმდეგ, დასავლეთი უნდა დაუზავდეს რუსეთს. თუმცა ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ექსპერტთა უდიდესი ნაწილი, რადგან მათი მოსაზრებით, არასათანადოდ აფასებენ რუსეთს და იმ ზარალს, რომელიც შეიძლება მოგვაყენოს მაშინაც კი, როცა უკრაინაში შეჭრის გამო, თავად სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში იძირება. რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ძირს უთხრის დასავლურ ფასეულობებს, ამიტომ აუცილებელია მასთან წინააღმდეგობა საქმით და არა მხოლოდ სანქციებით.

საინტერესოა, რა ფუნქციას ასრულებს ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკაში და რა პერსპექტივები აქვს მას? რამდენად ობიექტურია ექსპერტთა მოსაზრებები გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში? „ვერსია“ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში, თემურ ბასილიას აშშ-ში დაუკავშირდა:

„როდესაც გვინდა, ვისაუბროთ ჩინეთის როლზე გლობალურ ეკონომიკაში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის 70-ან წლებამდე, იგი იყო ინდუსტიულად სუსტად განვითარებული, აგრარული ქვეყანა.

საქმეში ჩაუხედავი ხალხისთვის, ალბათ, უცნაურად შეიძლება ჩანდეს, რომ 70-იანი წლებიდან დაწყებულ ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობას საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რიჩარდ ნიქსონმა, რომელმაც გამოაცხადა დათბობის პოლიტიკა ჩინეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მიმართ. სწორედ რიჩარდ ნიქსონის ამ პოლიტიკის შედეგად შეძლო ჩინეთმა, მიეღო ახალი ტექნოლოგიები შეერთებული შტატებიდან, რამაც შემდეგში ხელი შეუწყო, რომ ჩინეთში წარმოებული პროდუქცია შესულიყო შეერთებული შტატების ბაზარზე. რამდენადაც, ჩინეთში სამუშაო ძალა საკმაოდ იაფი იყო, პრაქტიკულად, ჩინეთი გახდა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის იაფფასიანი პროდუქციის შეტანის წყარო.

მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს, იყო მცდელობა, ეს მიდგომა შეცვლილიყო, მათ შორის, ამერიკული კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ ჩინეთში, დაბრუნებულიყვნენ შეერთებულ შტატებში, რეალურად, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. საბოლოო ჯამში, როგორც არ უნდა შეფუთონ, ან წარმოაჩინონ ჩინეთის როლი სხვადასხვა დაინტერესებულმა პირებმა, დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში, ჩინეთი უდიდეს წილადაა დამოკიდებული შეერთებულ შტატებზე. ეს არის რეალობა“.

ცხადია, „ვერსია“ დაინტერესდა, როგორ და რა ფორმით აისახება საქართველოზე ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერება, რომელზეც თემურ ბასილიამ გვიპასუხა, რომ საქართველომ აუცილებად უნდა ითანამშრომლოს ჩინეთთან, უნდა ჰქონდეს ამ ქვეყანასთან კარგი და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩინეთი ვერ ჩაანაცვლებს საქართველოში არა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროგაერთიანებას, არამედ, თურქეთსა და რუსეთსაც კი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მთავარი ეკონომიკური პარტნიორები არიან.

„ვერსიის“ კითხვაზე, შეძლებს ჩინეთი აშშ-ს ჩაჩოჩებას, თემურ ბასილიამ გვიპასუხა:

„რა თქმა უნდა, დღეისთვის ჩინეთის ეკონომიკა საკმაოდ არის წასული წინ, მაგრამ შორეულ თვალსაწიერშიც კი, ჩინეთი ვერ შეძლებს შეერთებული შტატების არა თუ ჩანაცვლებას, არამედ, მასთან მიახლოებასაც კი!“

საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებით, გამორიცხული არაა, რუსეთი და აშშ ერთმანეთს გაურიგდნენ კიდეც, ჩინეთის წინააღმდეგ და ამ მოსაზრებას უკრაინელი ექსპერტებიც იზიარებენ. „ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად საფუძვლიანია ასეთი მოსაზრება და თუ ასე მოხდება, უნდა ველოდოთ თუ არა „ახალ მსოფლიო წესრიგს“, რაზეც თემურ ბასილიამ გვიპასუხა:

„არ ვიცი, რომელ უკრაინელ ექპერტებზეა საუბარი, თუმცა ძალიან კარგად ვიცი, შეერთებულ შტატებში ბევრი გავლენიანი პირი ფიქრობს, რომ უკრაინა არ უნდა დამარცხდეს რუსეთთან ომში, თუმცა არც რუსეთი უნდა დამარცხდეს იმ ფორმით, რომ მან ვერ შეძლოს ჩინეთის დაბალანსება.

მესმის, რომ შესაძლოა, საქართველოში ბევრს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ ამერიკის თვალსაზრისით, გარკვეულწილად, რუსეთი აბალანსებდა ჩინეთს, შემაკავებელ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს ამ მიმართულებით. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ რუსეთმა მომავალშიც უნდა შეასრულოს ეს როლი, რადგან თუ ამჟამინდელი ბალანსი დაირღვევა, ეს გამოიწვევს ჩინეთის გაძლიერებას, რაც ნამდვილად არ არის შეერთებული შტატების ინტერესებში“.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ორი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „კარწახის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, ირანის ისლამური რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1978 წელს დაბადებული ბ.რ. და 1978 წელს დაბადებული ა.რ. დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ძალიან საშიშია!“

რა განსხვავებაა დასავლური და რუსული განათლების სტანდარტებს შორის და რა საფრთხეს შეიცავს ქართულ-რუსული უნივერსიტეტის გახსნა

საქართველოში, ე.წ. პრიმაკოვის ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ თბილისში, ქართულ-რუსული უნივერსიტეტი გაიხსნება: „ამჟამად, კონკრეტულად განიხილება ქართულ-რუსული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამ ეტაპზე, ვეძებთ შესაფერის ადგილს ამ სასწავლო დაწესებულებისთვის. უნივერსიტეტში სწავლა უფასო იქნება – დაფინანსების ხარჯებს რუსეთის ფედერაცია დაფარავს. ეს იქნება უნიკალური უნივერსიტეტი, რომელიც სრულად დაკომპლექტდება რუსული მხარის მიერ. ვვარაუდობ, რომ სექტემბრის ბოლომდე გვექნება უფრო ნათელი სურათი“. „რადიო თავისუფლება“ კი იუწყება, რომ ასეთი უნივერსიტეტები აფართოებენ რუსული პოლიტიკის გავლენას საქართველოში. განათლების ექსპერტების აზრით, რუსეთის იმპერია განათლებას იდეოლოგიურ მექანიზმად იყენებს და ექსპერტები შიშობენ, რომ სასწავლებელი დაკავებული იქნება ისტორიის დამახინჯებითა და სტდენტების ღირებულებების შეცვლით.

რა საფრთხეს შექმნის საქართველოში რუსული უნივერსიტეტის გახსნა; რა განსხვავებაა დასავლური და რუსული განათლების სტანდარტებს შორის და რა შემთხვევაში იყენებს ჰიბრიდული ომის დროს, რუსეთი განათლების სფეროს გავლენის ინსტრუმენტად – „ვერსია“ განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიას ესაუბრა:

– ასეთი უნივერსიტეტები რუსეთს აქვს გახსნილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ეს უნივერსიტეტებია რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი. დასავლური უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, რუსული უნივერსიტეტები დაქვემდებარებულია სახელმწიფოზე. რუსეთში სახელმწიფო პირდაპირ აკონტროლებს უნივერსიტეტების ავტონომიას, შეზღუდულია პროფესორების აკადემიური თავისუფლება და იქ უნივერსიტეტები სახელმწიფოს ერთგვარი დანამატია. ასე რომ, ძალიან საშიში იქნება ასეთი უნივერსიტეტის საქართველოში გახსნა.

წარმოიდგინეთ, როგორ მოქმედებენ ასეთი პროექტები – ასეთ უნივერსიტეტში დასაქმებული ხალხი დამოკიდებული ხდება, რადგან მათ ხელფასს გადაუხდის რუსეთი და ჩვენ შემთხვევაში, ეს არის მტრული სახელმწიფო ანუ საქართველოს მოქალაქეები, პროფესურა და სტუდენტები გახდებიან დამოკიდებულნი მტრულ სახელმწიფოზე.

იქ რომც არ ისწავლებიდეს რამე იდეოლოგიური შინაარსის მქონე მასალა, პროფესორები მაინც ხდებიან მათი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი და მეორე მხრივ, სტუდენტები ასეთი უნივერსიტეტებიდან, აგრძელებენ ხოლმე მსახურებას ისეთ ორგანიზაციებში, სადაც ასევე, რუსეთი იხდის ფულს.

მაგალითად, მსგავსია სოხუმის უნივერსიტეტი აფხაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს უნდათ, ეს მათი დამოუკიდებელი უნივერსიტეტი იყოს, რეალურად, ის დაქვემდებარებულია რუსეთის სახელმწიფოზე. ამ უნივერსიტეტის მაგალითზე შეგვიძლია ვნახოთ, როგორ ზღუდავს სახლმწიფო პროგრამების განვითარებას, როგორ აკონტროლებს უნივერსიტეტის პერსონალს და ა.შ.

ეჭვი მეპარება, ჩვენთან ასეთი უნივერსიტეტი გაიხსნას, რადგან საქართველოში მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები არ წყვეტენ ამ საკითხს, არამედ, ავტორიზაციის საბჭოც იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც არიან პროფესიონალები და მეეჭვება, დათანხმდნენ ასეთი უნივერსიტეტის ავტორიზაციას. თუმცა, თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ერთი პრობლემაც ჩნდება – რუსეთი გამოდის ბოლონიის პროცესიდან, რაც ნიშნავს, რომ დიპლომის აღიარება გართულდება ევროპაში და თუ საქართველოში სტუდენტები ასეთ უნივერსიტეტში მიიღებენ განათლებას, შეიძლება, მათი დიპლომებიც ეჭვქვეშ დადგეს ანუ შესაძლოა, გამოვიდეს ისე, რომ საქართველოს მოქალაქეები განათლებას მიიღებენ ისეთ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც პერსპექტივით არ სარგებლობს.

– ბატონო სიმონ, ჰიბრიდულ ომში რა როლს თამაშობს საგანმანათლებლო სექტორი ანუ რა შემთხვევაში იყენებს ინსტრუმენტად რუსეთი განათლების სფეროს გავლენის გასავრცელებლად?

– ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებობდნენ უნივერსიტეტები, რომლებიც გულისხმობდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ ლოიალური კადრების აღზრდას. ერთი ასეთი იყო „პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი“, სადაც მოსკოვში მოჰყავდათ ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან და მეორე ასეთივე იყო „საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მგიმო)“, რომელიც ზრდიდა საკადრო დიპლომატებს, უშიშროების სამსახურის წევრებს და ა.შ. ამ უნივერსიტეტების პროგრამები და პერსონალი კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ და ის კადრები, რომლებსაც ამზადებდნენ, იყვნენ სისტემის დასაყრდენნი.

ჩვენთან რაზეცაა საუბარი, ეს ცოტა განსხვავებული შემთხვევაა, რადგან უცხო ქვეყანაში ხსნიან ასეთ უნივერსიტეტს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მიზანი იგივეა – მათთვის სასურველი კადრები აღზარდონ.

რუსეთის იმპერია საქართველოში რომ შემოვიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ დაიწყო სკოლების გახსნა, რათა საკუთარი ბიუროკრატიისთვის მაღალჩინოსნები აღეზარდა. არა მხოლოდ სკოლებში ახერხებდა ამას, მაგალითად, ჰქონდა ობოლთა თავშესაფარი, სადაც ბავშვები იღებდნენ განათლებას...

ასე რომ, რა თქმა უნდა, განათლება არის მნიშვნელოვანი იარაღი რუსეთის სხვადასხვა ეპოქაში – იმპერიის დროს, საბჭოთა კავშირის დროს და ახლაც. ამ კუთხით უნდა შევხედოთ ამ პროექტს... მგონი, დიმიტრი ლორთქიფანიძე არც მალავს, რომ ემსახურება რუსეთის ინტერესებს საქართველოში.

– რა სეგმენტზეც აქვთ გათვლა ამ პროექტის ავტორებს ანუ ახალგაზრდობაზე, ვნახეთ ივლისის აქციების დროს, როგორი შეუვალი პროტესტი დაანახეს ყველას რუსულ კანონთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, მოინდომებს ეს ახალგაზრდობა რუსულ უნივერსიტეტში სწავლას?

– რთული წარმოსადგენია, ამ უნივერსიტეტმა მოწონება მოიპოვოს მასობრივად, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების ნაწილი რომ ამთავრებს სკოლას, მიდის რუსეთში სასწავლებლად. ასეთი ხალხიცაა და ეს უნდა გავითვალისწინოთ. ეს ხალხი, რა თქმა უნდა, ცოტაა...

– იმ თაობას, რომელსაც ისევ „ემგეუ“ ჰგონია განათლების უმაღლესი სტანდარტი, იქნებ აუხსნათ, რა პრინციპული განსხვავებაა დასავლეთის განათლების სტანდარტსა და რუსულ განათლების სტანდარტს შორის?

– მთავარი განსხვავება დასავლურ და რუსულ განათლებას შორის ისაა, რომ უნივერსიტეტებს ნორმალურ ვითარებაში აქვთ ავტონომია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ თავისუფლება, იკვლიონ და ასწავლონ ის, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ეს ავტონომია არა მხოლოდ შინაარსობრივია, არამედ, ფინანსური და რაც მთავარია, პოლიტიკური. ევროპაში ერთი უნივერსიტეტიც არ არის დამოკიდებული რომელიმე პარტიაზე და არ არის შეზღუდული პროგრამების შემუშავებაში და ა.შ. რუსეთში კი სახელმწიფო აკონტროლებს უნივერსიტეტების შინაარსს.

მაგალითად, უკრაინის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, რუსეთის უნივერსიტეტების რექტორებმა სახელმწიფოს მხარდამჭერი წერილი დაწერეს, რაც პირდაპირ აჩვენებს, თუ რა დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოსა და უნივერსიტეტებს.

მსგავსი რამ წარმოუდგენელია ევროპაში მოხდეს, რომ უნივერსიტეტის რექტორმა გამოუცხადოს მხარდაჭერა სახელმწიფო პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ცდილობენ დისტანცირებას.

რუსეთში არის პროფესორების ჯგუფი, რომელიც დაჭერილია, დაპატიმრებულია იმის გამო, რომ მაგალითად, კონფერენციაზე წარადგინა ისეთი კვლევები, რომელიც უშიშროებამ ჩათვალა, რომ იყო ქვეყნის ღალატის ტოლფასი. ეს პროცესი მიდიოდა ასე – პროფესორებს ჯერ უწევდათ საკუთარი საკონფერენციო თემის დამტკიცება უნივერსიტეტში, შემდეგ ეს უნდა წარედგინათ უშიშროებაში და მხოლოდ შემდეგ ჰქონდათ უფლება, რომ წარედგინათ საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს არის წარმოუდგენელი კონტროლი ანუ ეს არის ის, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში.

არის რამდენიმე უნივერსიტეტი, რომელიც ცდილობს, იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ იქაც იგივე კანონი, რომლის შემოღებასაც აქ ცდილობდა მთავრობა (უცხოელი აგენტების შესახებ) ზღუდავს პროფესურას, მიიღონ დაფინანსება ევროპული ფონდებისგან, რაც მისცემდა მათ საშუალებას, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ეწარმოებინათ კვლევები, რაც მათ სწორად მიაჩნიათ. ეს რომ გააკეთონ, იმ კანონის მიხედვით, იქნებიან უცხო ქვეყნის აგენტები და როცა წიგნებს გამოსცემენ, იტყვიან, რომ აგენტის დაწერილია...

– რუსეთში სწავლების ხარისხზე რა ინფორმაცია არსებობს? განათლების პოლიტიზირებას რომ თავი დავანებოთ, პროფესიული თვალსაზრისით სწავლება რა დონეზე მიდის?

– სწავლების ხარისხი ხშირად იზომება ხოლმე საუნივერსიტეტო რეიტინგებით, რაც ძირითადად, ეფუძნება პროფესორების ურთიერთშეფასებებს და პუბლიკაციების რაოდენობას, ამასთან, ჯილდოების რაოდენობას. ძალიან ჩამორჩება რუსული უნივერსიტეტები დასავლურ, ამერიკულ უნივერსიტეტებს. ფაქტია, რომ რუსეთში ვისაც შესაძლებლობა აქვს, ცდილობს, შვილები დასავლეთში გაუშვას სასწავლებლად, რაც ნათლად აჩვენებს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საკუთარი განათლების სისტემის მიმართ.

დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში, მუნიციპალურ სერვისებსა და ქონების განკარგვაში დუშეთის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დუშეთის მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2020-2021 წლებს მოიცავს და როგორც მოსალოდნელი იყო, გარკვეული ხარვეზებიც გამოვლინდა. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვებში, მუნიციპალური სერვისების მიწოდებასა და ქონების განკვარგვაში. დარღვევების გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი რეკომენდაციები შეიმუშავეს, რაც დუშეთის მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტის გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. შესაბამისად, 2020-2021 წლებში, ამ საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 31% დააკლდა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

„დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 3 711 100 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია. 52 შესყიდვის შემთხვევაში, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ უზრუნველჰყო შესყიდვების პროცესის სწორად წარმართვა, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და მიმწოდებლების შერჩევა სათანადო ბაზრის კვლევის საფუძველზე, მათ შორის, ხუთ შემთხვევაში, ხელშეკრულებები გაუფორმდათ ისეთ მიმწოდებლებს, რომელთა გამოცდილების შესახებ მერია ინფორმაციას არ ფლობდა. აღნიშნულმა კომპანიებმა ვერ შეძლეს სამუშაოების დასრულება და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველჰყო სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნების დაცვა; მერიამ მიმწოდებლები შეარჩია და ხელშეკრულებები გააფორმა ისეთ კომპანიებთან, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება. შედეგად, 1 868 300 ლარის სამუშაოები ვერ შესრულდა, ხელშეკრულებები შეწყდა და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი სარგებელი.

„მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა ხარვეზებით და დაარღვია მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი. სატენდერო პირობები მოიცავდა შემზღუდავ და ბუნდოვან მოთხოვნებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვია პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზრის შეზღუდვა და სახელმწიფო შესყიდვების მორგება კონკრეტული მეწარმე სუბიექტის ინტერესებზე. დუშეთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველჰყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 36 700 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა“.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, დუშეთის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 114 800 ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ გამოუყენებია. პროექტების შეძენაზე გაწეული ხარჯი შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტიან ხარჯად. ამასთან, სახელმწიფო მაკონტროლებლები ეჭვობენ, რომ არსებობს რისკი, დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და სხვადასხვა გარემოების, მათ შორის, ობიექტის მდგომარეობის ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

„დუშეთის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად ზრდიდა მიწოდების ვადებს და აზიანებდა შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს. მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, ასევე, შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზებით. დუშეთის მერიამ ვერ უზრუნველჰყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 466 000 ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში, დუშეთის მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები. მერიამ მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო თანხა – 28 400 ლარი, ასევე ვერ უზრუნველჰყო 330 300 ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება. მეტიც, დუშეთის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები გააფორმა საზოგადოებრივი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების საფუძვლით, თუმცა ვერ უზრუნველჰყო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების დროული შესრულება. შესაბამისად, მოსახლეობას ინფრასტრუქტურული სერვისი მიეწოდა დაგვიანებით. 2020 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ შესრულდა 66%-ით, ხოლო 2021 წელს – 69%-ით.

ხარვეზები მუნიციპალურ სერვისებსა და ქონების მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების გამო, დუშეთის მუნიციპალიტეტი დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მართავდა ხარვეზებით, კერძოდ, არ იყო დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება; რიგ შემთხვევაში, თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამებოდა.

„მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; დაწესებული არ არის წყლის გადასახადი, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება. ქონების განკარგვის პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ნაკლოვანებებით:

დასასრული მე-8 გვერდზე

დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში, მუნიციპალურ სერვისებსა და ქონების განკარგვაში დუშეთის მუნიციპალიტეტში

მე-7 გვერდიდან

ქონების ნაწილს, შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე, იყენებენ არაუფლებამოსილი პირები და ქირას მუნიციპალიტეტს არ უხდიან. მუნიციპალური შპს-ები მათზე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემულ ქონებას სასყიდლიანი სარგებლობით გასცემენ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების და ქონების გაქირავების რეალური საბაზრო ფასის დადგენის გარეშე".

დუშეთის მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

„მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მუნიციპალიტეტის დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვას, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს. 2020-2021 წლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, 111 800 ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დუშეთის მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით, 20 000 ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო, პირველ რიგში, გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხარვეზები საბიუჯეტო პროცესში

დუშეთის მერიაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესი წარიმართა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზით. დაინტერესებულ პირებს არ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ, არ შესრულდა საკანონმდებლო მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისთვის.

„კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, მერიამ ვერ უზრუნველჰყო უნებართვო მშენებლობის ფაქტების დადგენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, უნებართვო მშენებლობის ფაქტები მერიამ დაგვიანებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ ვერ გამოავლინა და მშენებლობის შეჩერების მიზნით არ განახორციელა სათანადო რეაგირება. გარდა ამისა, 2020-2021 წლებში, მუნიციპალიტეტს ემსახურებოდა ბანკი, რომელიც ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ, ურიცხავდა სარგებელს. მერიამ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტს მოუტანდა დამატებით ფინანსურ სარგებელს".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დუშეთის მერია ვერ უზრუნველჰყოფდა საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 111 600 ლარის მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

„შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველჰყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა".

რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც დარღვევები გამოავლინეს, სახელმწიფო აუდიტორებმა გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რომლებიც დუშეთის მუნიციპალიტეტმა აუცილებლად უნდა შეასრულოს. გთავაზობთ ამ რეკომენდაციებს, მცირეოდენი შემოკლებით:

„დუშეთის მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთან, ბიუჯეტის განწერისას, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველჰყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც მოქმედი სტანდარტების დაცვით, დეტალურად გაიწერება სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას".

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, დუშეთის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, უნდა დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველჰყოს ბაზრის სათანადო კვლევა. მერიამ ბაზრის კვლევის პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეექმნას მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებებისა და პოტენციური მიმწოდებლების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას, გამოცდილი/კვალიფიციური მიმწოდებლების შერჩევასა და შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების დაცვას.

„დუშეთის მერიამ უნდა შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და უნდა განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველჰყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთან, მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის ავტორის და საექსპერტო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას; მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას".

გარდა ამისა, დუშეთის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, უნდა შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. მერიამ უნდა განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ამასთან, მუნიციპალური ქონების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა დაადგინონ მიყენებული ზარალის ოდენობა და გაატარონ სათანადო ღონისძიებები მის ასანაზღაურებლად.

სამართალი

№27 26 ივლისი 2023 წ

როგორ შემოაქვთ „ტრაილერებით“ ნარკოტიკი საქართველოში

სკანდალური სქემა და ქართველ „კანონიერ ქურდებზე“ ნადირობის ახალი სეზონი

ბათო ჯაფარიძე

რუსთავის №17 დაწესებულებაში, 2010 წელს, ერთი საინტერესო ნარკოდილერი იხდიდა სასჯელს. პრინციპში, რაღა ნარკოდილერი, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „ბარიგა“, მაგრამ ახლა ხომ გადაწყდა, „ბარიგა“ მათთვის შეურაცხმყოფელია, ამიტომ ნარკოდილერები დავუძახოთო ანუ კაცი სიკვდილს ჰყიდის და თურმე „ტეხავს“, „ბარიგა“ რომ უწოდო. მოკლედ, ამ კაცს ევროპიდან შემოჰყავდა მანქანები, ოღონდ ყოველთვის გემით და ავტომობილებში ნარკოტიკი იყო დამალული. საინტერესო ის გახლდათ, რომ მამაკაცი, პრაქტიკულად, არ რისკავდა – ნარკოტიკს ევროპის რომელიმე ქვეყანაში მალავდნენ, შემდეგ მანქანა გემით მოდიოდა, გემიდან პირდაპირ ევაკუატორზე იდებოდა და ფონიჭალაში, ავტოსახელოსნოში მიჰქონდათ. „ბარიგა“ ფულს ყველას დისტანციურად უხდიდა და ჩამოყვანილ მანქანას ორი კვირა არ ეხებოდა, შორიდან ათვალიერებდა, მოჰყვა თუ არა კუდი. ორი კვირის შემდეგ, თავად იწყებდა მანქანის რემონტს (ხელოსანი იყო) და ნარკოტიკებამდე ყველაზე გვიან მიდიოდა ანუ კიდევ ელოდა და ფრთხილობდა. როგორ დააკავეს? ძალიან მარტივად, რადგან ერთ-ერთი ევაკუატორის მძღოლი ახალბედა იყო, მანქანა კარგად ვერ დაამაგრა და გზაზე გადმოუვარდა. მეპატრონეს დაურეკა, ერთი დღე დამაგვიანდება, ჩემს ევაკუატორს აქვს პრობლემაო და მანქანა სახელოსნოში, ძმაკაცთან გააქანა, მიშველეო. იმანაც რაღაც ნაწილები დახსნა და როცა თეთრი ფხვნილით გატენილი პაკეტი გადმოვარდა, პოლიციაში დარეკა. სამართალდამცავებმა საქმე კონტროლზე აიყვანეს და მეორე რეისზე „ბარიგას“ ჩაავლეს. იმის მიუხედავად, რომ მაშინ მას 23 წელი მიუსაჯეს, დღეს თავისუფლებაზეა და ისევ სახელოსნოში მუშაობს... როგორც ამბობენ, პატიოსნად.

ყველაფერი ეს იმის გამო გავიხსენეთ, რომ ნარკოტიკების გამსაღებლების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ისინი იგონებენ ახალ-ახალ ხერხებს, რათა ნარკოტიკები გაასაღონ და დიდი შემოსავალი მიიღონ. გასულ კვირას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორთა ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა და კრიმინალური დაჯგუფების 21 წევრი დააკავა, საზღვარგარეთ მყოფ ორგანიზატორებზე კი ძებნა გამოცხადდა, თუმცა ძალიან საეჭვოა, რომელიმე მათგანის დაკავება მოხერხდეს. ჯერ ერთი, ისინი ძალიან კარგად ინიღბებიან, მეორეც – ნაკროტიკების გაყიდვიდან მიღებული უზარმაზარი შემოსავლით მარტივად ახერხებენ ყალბი დოკუმენტების გაკეთებას და მათი პოვნა რთულდება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სქემა მარტივი იყო – ტრაილერებით ნარკოტიკების შემოტანა და მთავარი პრობლემა, „დამდების“ პოვნა ანუ ადამიანის, ვინც ნარკოტიკს დადებს და შემდეგ მომხმარებელს ლოკაციას ჩაუგდებს. დღის განმავლობაში, ე.წ. დამდებმა 10 ლოკაცია რომ მონიშნოს და 10 ჩეკი ნარკოტიკი გაყიდოს, 200 დოლარი რჩება. ამის მიუხედავად, ბევრს არ სურს გარისკოს და ამიტომაც არის, ნარკოდილერთა პრობლემად რომ ქცეულა „დამდებები“. ნარკოტიკები კი ტრაილერებით შემოჰქონდათ და, როგორც ჩანს, ეს სქემა ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა. იმ თანხებით, რაც შსს-მ ოფიციალურად გამოაქვეყნა, ირკვევა, რომ კონკრეტულად ამ შემთხვევაში, დღეში, დაახლოებით, 10 ათასი დოლარის ნარკოტიკი იყიდებოდა და ფულის ნაწილი საზღვარგარეთ მიდიოდა, ნაწილი კი აქ რჩებოდა უძრავი ქონების შესაძენად. თუმცა, ეს ერთგვარი საფარი იყო – უძრავი ქონების (ძირითადად, მშენებარე ბინების) შეძენის შემდეგ, ქონება იყიდებოდა, ხოლო გაყიდული თანხა საზღვარგარეთ ირიცხებოდა და დასაბუთებაც მარტივდებოდა – უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

სამწუხაროდ, ასეთი „ტრაილერები“ და სქემები კიდევ არაერთია და ადრეც დავწერეთ, რომ ამოღებული ნარკოტიკების შეფარდებით, იმის გამოთვლა ადვილია, დაახლოებით, რა ოდენობის ნარკოტიკი ტრიალებს ქვეყანაში ანუ რასაც იღებენ, იმის დაახლოებით, 30% იყიდება და მას სამართალდამცავები, უბრალოდ, ვერ პოულობენ. არ გეგონოთ, ეს მხოლოდ ჩვენთან ხდება, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ასეა და მეტიც, საქართველო ნარკოდანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ერთ-ერთი მოწინავეა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ, ევროპაში. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ნარკოტიკების შემოტანა-გაყიდვის სქემის გაშიფვრა სულ უფრო რთულდება, თუნდაც იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, ევროპის არაერთ ქვეყანაში ნარკოტიკი დრონით შექავთ. თანამედროვე დრონები, რომლებსაც, მაგალითად, უკრაინა ეფექტიანად იყენებს საბრძოლო მოქმედებების დროს, ნარკოდილერებისთვისაც სასურველი ნივთია. ისინი დრონზე, ბომბების ნაცვლად, ნარკოტიკებით სავსე ცელოფანს ჰკიდებენ, საზღვარზე ჰაერით გადააქვთ და შემდეგ იქ სხვა პირი ელოდება, რომელიც ჩამოგდებულ პროდუქციას მშვიდად იღებს, აფასოებს და გასაყიდად ამზადებს.

საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაციის პარალელურად, ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებზე ნადირობის სეზონი გაიხსნა. მთავარი სპეცოპერაცია 14 ივლისს, სტამბოლში ჩატარდა. სამართალდამცავებმა გურამ ჩიხლაძე, იგივე, „კვეჟოვიჩი“ დააკავეს, ე.წ. კანონიერი ქურდი, რომელიც ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა. უდიდესი ალბათობით, ჩიხლაძეს რუსეთის ფედერაციას გადასცემენ, რადგან რუსეთში მას რამდენიმე უმძიმეს დანაშაულში ედება ბრალი და თუ ასე მოხდება, ჩიხლაძეს გრძელვადიანი „სროკი“ არ ასცდება. როგორც რუსული მედია წერს, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის გადაცემის შემთხვევაში, სასამართლო მას საუკეთესო ვარიანტად 20 წლით თავისუფლების აღკვეთას შესთავაზებს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, სამუდამო მიუსაჯონ.

თურქეთის გარდა, სპეცოპერაცია ჩატარდა ჩეხეთშიც, სადაც ე.წ. კანონიერი ქურდი ვიტალი ავდიანი, იგივე, „ვიტია ტბილისკი“ დააკავეს. ავდიანი ერევანში ჩადენილი დანაშაულისთვის იძებნებოდა და ის, სწორედ სომეხი სამართალდამცავების მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს. მეტიც, ჩეხურმა მხარემ ავდიანის ექსტრადაცია უკვე განახორციელა და ახლა მას სომხური სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

ჩეხეთს არც ჩერნოგორია ჩამორჩა და ქვეყნის დედაქალაქის აეროპორტში, რუსეთის ფედერაციის მოთხოვნით, გიორგი მანუკიანი, იგივე, „ჟორა ტბილისკი“ დააპატიმრეს. ბრალი მასაც რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულში ედება და როგორც რუსი სამართალდამცავები ამბობენ, ჩადენილი დანაშაულის გარდა, მანუკიანს ბრალს კრიმინალურ სამყაროში დაკავებული უმაღლესი საფეხურის ანუ ე.წ. კანონიერი ქურდობის ბრალდებითაც წარუდგენენ, რაც ათწლიან სასჯელს ნიშნავს. დღე-დღეზე, მოსკოვში, მანუკიანის ექსტრადაცია განხორციელდება.

ალბათ, იკითხავთ, რატომ ხდება, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აკავებენ საქართველოდან წასულ ე.წ. კანონიერ ქურდებს, ექსტრადაციით გადაჰყავთ სხვადასხვა ქვეყანაში, ევროპელები არ ითვალისწინებენ საქართველოს ძალოვანი უწყების მოთხოვნას და არ აკავებენ ე.წ. კანონიერ ქურდებს ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე? საქმე ის გახლავთ, რომ 2007 წლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე, არცერთ ე.წ. კანონიერ ქურდს დანაშაული არ ჩაუდენია. ისინი ქვეყნიდან გაიქცნენ და „მოღვაწეობა“ სხვაგან გააგრძელეს. შესაბამისად, ქართული მხარე წარდგენილ ბრალში მხოლოდ „ქურდული სამყაროს წევრობას“ უთითებს, რაც საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის გარდა, არცერთ ქვეყანაში დასჯადი არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ მუხლს ევროპული ქვეყნები არ სცნობენ და შესაბამისად, მათი დაკავების საფუძველიც არ აქვთ. სწორედ ამიტომაა, რომ ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდები აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოში მიმდინარე კრიმინალურ პროცესებში, ფულს სძალავენ მცირე მეწარმეებს და დაკავების არ ეშინიათ. მათ ზუსტად იციან, რომ საქართველოში არ დაბრუნდებიან და ქართული სასამართლოს მიერ დაუსწრებლად მისჯილი „სროკიც“ ფურცელზე დარჩება, ევროპელი სამართალდამცავები ამ მუხლით მათ დაკავება-ექსტრადაციას, უბრალოდ, არ განახორციელებენ.

სხვა საქმეა ნარკოდანაშაულზე ბრალდებული ადამიანების დაკავება, თუმცა აქ უდიდეს პრობლემას, სწორედ ნარკოდანაშაულის ორგანიზატორთა იდენტიფიცირება წარმოადგენს. აქედან წასული პიროვნება, მაგალითად, „ლევან მაისურაძე“, ევროპული საბუთებით, შესაძლოა, „ვალოდია ჯინჭარაძე“ იყოს და მას ვერ აკავებენ. ამიტომაც, ნარკოტრაფიკის აწყობის მცდელობა საზღვარგარეთიდან ძალიან ხშირია და ცალკეულ შემთხვევაში, ეს წარმატებითაც გამოდის. თუნდაც ბოლო შემთხვევა ავიღოთ, როცა ქართულმა მხარემ 21 ეჭვმიტანილი დააკავა. გაასამართლებენ ყველა მათგანს, მიუსჯიან სასჯელს, მაგრამ მთავარი დამნაშავე ევროპის რომელიმე ქვეყანაშია, სადაც თავს მშვიდად გრძნობს და ახალი ტრაფიკის აწყობას უკვე დღეიდან დაიწყებს. ამის შესაძლებლობას ის ფინანსური რესურსი მისცემს, რომელიც თუნდაც, ამ ორი წლის განმავლობაში დარჩა. თუ ახალ სქემასაც გაშიფრავენ ქართველი სამართალდამცავები (არადა, ადრე თუ გვიან, გაშიფრავენ), ისინი კვლავ დაუსჯელები დარჩებიან და შემდეგ დაიწყება ისევ ახალი გზის ძიება და აწყობა. ასე გაგრძელდება დაუსრულებლად, სანამ ევროპელი სამართალდამცავების დახმარებით, ქართული მხარე არ დაადგენს ორგანიზატორის ადგილსამყოფელს და მას არ დააპატიმრებენ.

სამწუხაროდ, დღევანდელი სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მეტი დანაშაული სამი მიმართულებით ხდება. ეს არის ნარკოტიკები, ე.წ. შავი სამყაროს წევრობა და... ოჯახური ძალადობა. სამივე ისეთი ტიპის დანაშაულია, თავად მოსახლეობის ცნობიერებაში თუ არ შეიცვალა რამე, მხოლოდ ძალოვანი უწყება ვერაფერს გახდება.

ბავშვთა სახლის დირექტორმა მაღალჩინოსანს დაბადების დღეზე 16 წლის გოგონა აჩუქა

გრიფით „საიდუმლო“ საქმის სკანდალური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, გრიფით „საიდუმლო“ კარგა ხანს ედო. მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, გრიფიც მოხსნეს, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ საბჭოთა უშიშროებამ საქართველოდან „გრიფით საიდუმლო“ დაარქივებული საქმეები გაიტანა. ინახება თუ არა ეს საქმეები რუსეთის ფედერაციაში, ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან ისინი, ძირითადად, კომუნისტ მაღაჩინოსნებს ეხებოდა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ან პენსიაზეა, ან – გარდაცვლილია. გარკვეულ წრეებში, მაშინ ამ საქმეს უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა, მეტიც, ისეთი მაღალჩინოსნებიც მოხსნეს, რომელთაც აღნიშნულ საქმესთან შეხება არ ჰქონდათ, მაგრამ მთავარ დამნაშავეს იცნობდნენ.

ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო – მილიციის განყოფილებაში ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი ქმარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. არადა, დაკარგული – არც მეტი, არც ნაკლები – ერთ-ერთი ტრესტის მმართველის მძღოლი იყო. ვინც არ იცის, გეტყვით, რომ მაშინ ტრესტის მმართველობა ნიშნავდა უზარმაზარ ფულს, უზარმაზარ გავლენას და ტრესტის მმართველები თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ.

„განცხადებაში ქალმა ქმრის დაკარგვის შესახებ დაწერა, სიტყვით კი დაამატა, რომ მისი ქმარი უცნაური შემთხვევის მოწმე გახდა, რომლის შესახებაც ცოლს მოუყვა, სამსახურიდან წასვლაც სურდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, გაქრა. ქალი ხელს ტრესტის მმართველს ადებდა, ჩემი ქმარი მაგან გააქროო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რაც შეეხება უცნაურ შემთხვევას, არცთუ დიდი ხნის წინ, ტრესტის მმართველს დაბადების დღე ჰქონდა, რომელიც ძალიან ვიწრო წრეში აღნიშნა და საჩუქრებიც ორიგინალური მიიღო. სტუმრებს განუცხადა, რომ ყველაზე ორიგინალური საჩუქრის ავტორს 10 ათას მანეთს აჩუქებდა, ამიტომ თავი არავინ დაზოგა, მაგრამ ბრილიანტის თვლებით მოჭედილ ხელჯოხზე, ოქროს პორტსიგარსა და ათასგვარ მდიდრულ, მაგრამ უგემოვნო ნივთებზე წინ, სტუმრების ფანტაზია არ წასულა. ერთ-ერთმა სტუმარმა ოთახში დიდი ყუთი შემოატანინა, ხოლო როცა გახსნეს, შიგნით გალია იყო, გალიაში კი ასე, 14-15 წლის გოგონა – ყელზე საბელით. სტუმარმა საბელი იუბილარს მიაწოდა და ათი ათასიც მოიგო. საჩუქრის ავტორი ბავშვთა სახლის დირექტორი იყო, გოგონა კი, უდიდესი ალბათობით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელი. მძღოლი ამ ისტორიას სრულიად შემთხვევით შეესწრო, მერე ყველაფერი ცოლს მოუყვა და „ხაზეინს“ უთხრა, სამსახურის გამოცვლა მინდაო. რა თქმა უნდა, მაღალჩინოსანი მიხვდებოდა, რატომ მიდიოდა სამსახურიდან მძღოლი და უდიდესი შანსი იყო, სწორედ მას გაექრო მამაკაცი.

საქმეში უშიშროების სამსახური არაოფიციალურად ჩაერთო, ოფიციალურად კი გამოძიების წარმოება შსს-ს დაევალა. პირველ რიგში, ბავშვთა სახლის დირექტორი იყო შესასწავლი, პარალელურად, ტრესტის მმართველის აგარაკსა და ბინაზე თვალთვალი დაიწყეს, მაგრამ ბინაზე მალევე მოხსნეს, იქ მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა და გოგონას შინ აშკარად ვერ მიიყვანდა. აი, აგარაკი სხვა თემა იყო. იქ ტრესტის მმართველი ყოველდღე მიდიოდა, ორი საათით რჩებოდა და რაც მთავარია, საჭესთან მუდმივად თავად იჯდა, ჯერჯერობით, ახალი მძღოლი არ ჰყავდა. სავარაუდოდ, სწორედ იქ იყო გოგონა გამომწყვდეული, მაგრამ რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა, ამიტომ პირდაპირი შტურმით აგარაკის აღება არ გამოდიოდა.

რაც შეეხება ბავშვთა სახლის დირექტორს.

„ეს საშიში კაცია. ბავშვებს ფიზიკურად ამუშავებს. არ ვიცი, გაბედავს თუ არა რომელიმე მათგანი ამის შესახებ საუბარს, მაგრამ ვიცი, რომ მაღალჩინოსნების სახლებში ამუშავებს, ეზოებს ასუფთავებინებს, რამდენიმე, ცოტა ძლიერი ბიჭი, მშენებლობებზეც დაჰყავს. ახლახან, ერთი გოგონა გაქრა, თავად თქვა, გაიქცაო, განცხადებაც დაწერა მილიციაში, მაგრამ ზუსტად ვიცი, არავინ არსად გაქცეულა, მან წაიყვანა და ალბათ, ვინმეს მიჰყიდა, ან მოსამსახურედ ამუშავებს“, – თქვა ბავშვთა სახლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

საგამოძიებო სამსახური ბავშვთა სახლში შევიდა და ბავშვები ფსიქოლოგებთან ერთად დაკითხეს. ყველამ ყველაფერი უარყო, გარდა ერთისა. ერთ-ერთმა ბიჭმა თქვა, თუ შემპირდებით, რომ აქ არ დამტოვებთ, ყველაფერს გეტყვითო. რა თქმა უნდა, დაპირდნენ და მან დაადასტურა, რომ ბავშვები სამუშაოდ კვირაში ორ-სამჯერ დაჰყავდათ, ვიღაცების ეზოებს ბარავდნენ, ბალახს გლეჯდნენ, შეშას ჩეხავდნენ, სანაცვლოდ კი, ნორმალურადაც არ აჭმევდნენ. რაც შეეხება დაკარგულ გოგონას, ბიჭმა თქვა, რომ ის დირექტორმა საკუთარი მანქანით გაიყვანა ბავშვთა სახლის ეზოდან, მაგრამ... სასამართლოზე ერთი არასრულწლოვნის ჩვენება სამარისი არ იქნებოდა. მით უმეტეს, დირექტორი იხტიბარს არ იტეხდა და ამბობდა, გოგონა გაიპარა, განცხადება დაწერილი მაქვს, რაც შეეხება ფიზიკურ შრომას, შემეცნებითი ექსკურსიები გვქონდა, ბავშვები ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად დამყავდა, ასწავლიდა ნიადაგის შემადგენლობას, მცენარეთა თვისებებზე უყვებოდაო.

ბავშვთა სახლის დირექტორი იხტიბარს არ იტეხდა და მივხვდით, მას ვიღაცის იმედი ჰქონდა და ის ვიღაც გავლენიანი უნდა ყოფილიყო. ეჭვი ტრესტის მმართველზე მივიტანეთ და მის სახლში გოგონა რომ არ გვეპოვნა, ყველას გაგვსრესდა. მარტო ჩვენ კი არა, უშიშროების თანამშრომლებსაც მიაყოლებდა. ამიტომ, დირექტორს ვუთხარი, ადვოკატთან დარეკე, თუ გინდა, შენი კაბინეტიდან დარეკე, განყოფილებაში მიგვყავხარ-მეთქი. გაუხარდა, ტელეფონი აიღო, დარეკა და მკაფიოდ თქვა, მე დამაკავეს, სისულელეებს მედავებიან, მათ შორის, ვიღაც გოგოს მოპარვას თუ ჩუქებასო და გათიშა. ზუსტად ვიცოდი, რომ ტრესტის მმართველს ურეკავდა, მის აგარაკთან ჩვენი თანამშრომლები მორიგეობდნენ და ის აუცილებლად შეეცდებოდა, გოგონა თავიდან მოეშორებინა, თუ რა თქმა უნდა, ეს გოგო ნამდვილად იქ იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბედის ირონიით, სწორედ მაშინ, როცა ტრესტის მმართველი სამსახურიდან წავიდა და მანქანა დიდი სიჩქარით გააქროლა აგარაკისკენ, ოპერმუშაკებიდან ერთ-ერთს თავი ასტკივდა და აფთიაქში წამლის საყიდლად წავიდა. მას მეორეც წაჰყვა, რადგან დღის იმ მონაკვეთისთვის, ტრესტის მმართველი აგარაკზე არასდროს მიდიოდა. აფთიაქში ნახევარი საათი შეაგვიანდათ, ხოლო როცა დაბრუნდნენ, დაინახეს, რომ ობიექტის მანქანა ეზოდან გამოვიდა და ტერიტორია დიდი სიჩქარით დატოვა. ოპერმუშაკები უკან მიჰყვნენ, მაგრამ... გზაზე სამსახურის „ვოლგას“ ჩამორჩნენ და დაეკარგათ. ეს ნამდვილი კატასტროფა იყო. სხვა გზა აღარ დარჩა, ოპერმუშაკები ტრესტის მმართველს ბინასთან დაელოდნენ, ის კი გვიან დაბრუნდა და როცა სადარბაზოში შედიოდა, ხელიდან ცელოფანი დაუვარდა, შიგნით ჩადებული რაღაც დაიმტვრა და მან ცელოფანი იქვე კუთხეში მიაგდო. ძალოვნებმა ცელოფანი დაათვალიერეს და შიგნით თიხის ორი ცალი ყანწი იყო დალეწილი. ყველაფერი ზემდგომებს მოახსენეს და...

„სოფელში იყო... მამა-პაპისეული სახლი აქვს დაკეტილი, ალბათ, უკანა გზაზე გაჩერდა, სხვაგან არ იყიდება ეს თიხის ნივთები და ეს გამოაყოლა. სასწრაფოდ, დასავლეთში მივდივართ“, – ასეთი იყო ბრძანება და ოპერჯგუფი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ოთხი მანქანით წავიდა. მეზობლების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ტრესტის მმართველი სახლში მართლაც იყო, იქ ორი საათი გაჩერდა და უკან გაბრუნდა. ეზოში ახალი მიწაყრილი არ ჩანდა, რომ ეფიქრათ, გოგონა მოკლა და იქ დამარხაო. ამიტომ, სახლის დათვალიერება გადაწყდა და სარდაფში, რომელიც მთლიანად ხით იყო მოპირკეთებული, ერთ-ერთ ოთახში გოგონა იპოვეს. ის ჯაჭვითა და ბოქლომით იყო დაბმული, იქვე იყო, ათ ლიტრამდე წყალი, ასევე ძეხვი, პური, კიტრი და პომიდორი. იქვე იდო სათლიც, რომელშიც გოგონას, სავარაუდოდ, ბუნებრივი მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა. ყველაფერი ცხადი იყო და უხეში გათვლებით, ეს საკვები და წყალი გოგონას სამ დღეზე მეტი არ უნდა ყოფნოდა. ამიტომ, სამართალდამცავები ჩასაფრდნენ, თან დაკითხვის დროს, ბავშვთა სახლის დირექტორს ერთხელაც არ უხსენეს ტრესტის მმართველი, რამაც ის დაამშვიდა. სამი დღის შემდეგ, მთავარმა ეჭვმიტანილმა გეზი კვლავ მშობლიური სოფლისკენ აიღო და როცა სარდაფში ჩავიდა, იარაღმომარჯვებულ ძალოვნებს წააწყდა. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ოპერმუშაკები ეზოშიც იყვნენ.

„ბავშვთა სახლის დირექტორი ჩემი მეგობარია. ერთხელ ვიყავი მასთან მისული და არ ვიცი, რა დამემართა, ერთ-ერთ ბავშვზე ვუთხარი, რომ გაიზრდება, კარგი გოგო დადგება-მეთქი. სავარაუდოდ, ეგონა, რომ მე ბავშვები მომწონდა და დაბადების დღეზე გამაოცა. შეამოწმეთ, ნახეთ, მე გოგოსთვის ხელი არ დამიდია, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, ამიტომ უბრალოდ, მყავდა და ვკვებავდი. მერე, როცა ის დაიჭირეთ, შემეშინდა და სოფელში წამოვიყვანე. ხომ ნახეთ, არც მოკვლა მინდოდა და არც მიძალადია“, – ამბობდა ტრესტის მმართველი და საბედნიეროდ, გოგონას ძალადობის კვალი არ ეტყობოდა. ბავშვმა დაადასტურა, რომ ის მხოლოდ დაბმული ჰყავდათ და აჭმევდნენ.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ტრესტის მმართველი სამსახურიდან გაათავისუფლეს და... სამი წლით პირობითი სასჯელი მისცეს, ბავშვთა სახლის დირექტორს კი რვა წელი ერგო.

ბათო ჯაფარიძე

თაღლითური სქემა, რომლითაც სასწრაფოს მედპერსონალი და გავლენიანი ადამიანი ხალხს დიდ ფულს „აწერდნენ“

ბრალდებულების აღიარებითი ჩვენებები

„განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მოვიდა პატარა ბავშვთან ერთად და მოთქმით ტირილი დაიწყო. როგორც მან თქვა, ბინა ვიღაც კრიმინალებმა ძალით დააცლევინეს იმიტომ, რომ ექვსი თვის წინ, მის ქმარს კრედიტი აუღია, დაახლოებით, 3 ათასი დოლარი (მაშინ ეს არ იყო პატარა თანხა) და არ გაუსტუმრებია. მას წინ დაუდეს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, ვადაგადაცილების პირობები და უთხრეს, სამ დღეში ბინა დაცალეო. მას ყველაფერი ეს ბოროტი ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა სამი დღის შემდეგ, შვილთან ერთად ქუჩაში გააგდეს, მიხვდა, რომ არავინ ეხუმრებოდა და მილიციაში მოვიდა“, - გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ამ ამბავში საინტერესო ერთი რამ გახლდათ - ქალმა გამომძიებელს მაგიდაზე ქმრის გარდაცვალების მოწმობა დაუდო, რომლის მიხედვითაც, მისი ქმარი წელიწადნახევრის წინ იყო გარდაცვლილი და ნახევარი წლის წინ, კრედიტს ვერ აიღებდა. არადა, ხელშეკრულება სწორედ ექვსი თვის წინ იყო გაფორმებული. რა ძნელი მისახვედრია, რომ გამომძიებელი იმავე დღეს ბანკში წავიდა.

„არ გეწყინოთ, ბატონო გამომძიებელო, მაგრამ ჩვენ ვიღაც აფერისტები არ გეგონოთ. ამ კაცმა კრედიტი ნამდვილად აიღო და გვერწმუნეთ, ამას მარტივად დავადასტურებთ. საქმე ის გახლავთ, რომ თავიდან ბევრი ამბობდა, კრედიტი არ ამიღია, გაყალბებული საბუთებიაო და მერე ჭკუა ვისწავლეთ. აქ ფოტოაპარატი გვაქვს, ფერადი, ვინც მოდის, ხელშეკრულებას კრედიტის აღების შესახებ, ხელში იჭერს და სურათს ვუღებთ. აგერ, ამ კაცის სურათიც, სადაც ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულება უჭირავს“, - უთხრა ბანკის წარმომადგენელმა გამომძიებელს და წინ ფოტო დაუდო, საიდანაც „გარდაცვლილი“, ბანკის ხელშეკრულებით ხელში, ღიმილიანი სახით იმზირებოდა,

„ძალიან შემრცხვა, ძალიან... გამოდიოდა, რომ იმ ბავშვიანმა ქალმა მომატყუა. უბრალოდ, ვენდე და... არც კი მიკითხავს, ქმარი რით დაიღუპა, ნახა თუ არა გარდაცვლილი, როგორი ურთიერთობა ჰქონდა, ეგებ, ის კაცი ამ ქალს საერთოდ ვერ იტანდა და გაექცა, სიკვდილი გაითამაშა... ვბრუნდებოდი განყოფილებაში, თან ბანკში გადაღებული სურათი მომქონდა და ერთი სული მქონდა, დამერეკა იმ ქალისთვის და სახეზე ამეფარებინა მისი გარდაცვლილი ქმრის მომღმარი სახე“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

ქალი მაშინვე მივიდა, ფოტოს დახედა, კარგა ხანს უყურა და შემდეგ დაბეჯითებით თქვა - ეს ჩემი ქმარი არ არის. არადა, ბანკიდან წამოღებული ფოტო, რეალურ სურათს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა და რაც მთავარია, მამაკაცი ავარიით იყო გარდაცვლილი, არც უგზო-უკვლოდ დაკარგულა და არც ცხედარი გამქრალა. გამომძიებელი ბოლომდე დაიბნა, საერთოდ ველარაფერს ხვდებოდა და ისევ ბანკს მიადგა, მაგრამ იქ უარესი ელოდა - ფოტოს გარდა, მამაკაცის პასპორტის ასლიც ააფარეს თვალებზე და უთხრეს, რომ ისინი კანონის სრული დაცვით მოქმედებდნენ. დაზარალებულმა ქალმა გაიხსენა, რომ მის ქმარს პასპორტი და საფულე სწორედ ავარიის დროს დაეკარგა, როცა ის საავადმყოფოში მიიყვანეს, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ უთხრა, რომ საბუთი მამაკაცს თან არ ჰქონია და თუ რამე ჰქონდა, მანქანაში უნდა ეძებოთო, მაგრამ ვერც მანქანაში მიაგნეს. ქალს ამისთვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია, რაღაში სჭირდებოდა გარდაცვლილს პასპორტი და ეს ამბავი დაივიწყა. გამოდიოდა, რომ ვიღაცამ მისი პასპორტით ისარგებლა, მაგრამ როგორ მოახერხა ის, რომ გარდაცვლილს ასე ძალიან ჰგავდა? მას ძმა არ ჰყოლია და სოფლად ცხოვრობდა...

ერთ-ერთ გაფართოებულ თათბირზე, სხვა განყოფილებების ხელმძღვანელებმა თქვეს, რომ მათ უცნაურ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე. ვიღაცები ბანკიდან სესხს იღებდნენ, შემდეგ ვერ აბრუნებდნენ და ბინებს ართმევდნენ. სესხი კაბალური პირობებით იყო გაფორმებული და რაც მთავარია, დაზარალებულები იფიცებოდნენ, სესხი არ აგვიღიაო, მაგრამ ბანკს ყველა საბუთი

იყო დრო, საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები და ბანკები, პრაქტიკულად, ყველა სადარბაზოსა თუ სარდაფში იყო გახსნილი. ჰოდა, იყვნენ სარდაფის იურისტები, ექიმები, ეკონომისტები... იყვნენ რა, არიან კიდეც და არაერთი მათგანია მაღალ თანამდებობაზეც, საკანონმდებლო ორგანოშიც... მაშინდელი ბანკები კრედიტს არ იძლეოდნენ, სამაგიეროდ, მათ, რომლებსაც ანაბრის გახსნის სურვილი ჰქონდათ, ეუბნებოდნენ, რომ ანაბარს წლიურად 200%-იანი სარგებელი (ხშირ შემთხვევაში, მეტიც) დაერიცხებოდა და მეანაბრეები აშენდებოდნენ, თუმცა ეს ბანკები ზუსტად ისევე ქრებოდნენ, როგორც ჩნდებოდნენ და მეანაბრეების ფულიც მიჰქონდათ. მაშინ ბევრი საქმე აღიძრა, მაგრამ დაკავებული და გასამართლებული არავინაა. მერე და მერე, ბანკების რაოდენობამ იკლო, თუმცა იკლო არა იმიტომ, რომ თაღლითები სინდისმა შეაწუხა, არამედ იმიტომ, რომ ანაბარზე უზარმაზარი პროცენტის ჩარიცხვას აღარავინ იჯერებდა და ფულიც არავის შეჰქონდა.

შემცირებული ბანკების ოდენობა სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ მოსახლეობის ნაწილმა ამოისუნთქა, ან ჭკუა ისწავლა. ბანკებმა კრედიტების გაცემა დაიწყეს უძრავი ქონების უზრუნველყოფით და საკმარისი იყო, ერთი თვეც კი გადაგეცილებინა, ხელშეკრულების მიხედვით, ბინა უნდა დაგეცალა. ვინც ამას არ აკეთებდა, საქმეში ე.წ. კანონიერი ქურდები ერთვებოდნენ და დაშინებითა თუ მუქარით, ბინა ბანკის საკუთრებაში გადადიოდა. მაშინ კი არა, ახლაც კი, წვრილი შრიფტით დაწერილ ბანკის ხელშეკრულებას, ბოლომდე თითქმის არავინ კითხულობს და მხოლოდ მერე აღმოჩნდება ხოლმე არასასურველი პუნქტი და გადაუხდელობის გამო, პრობლემები იწყება.

წესრიგში ჰქონდა, პასპორტის ასლებიდან დაწყებული... მსესხებლის სურათებით დამთავრებული. დაზარალებულები კი ამბობდნენ, სურათზე ჩვენ არ ვართო, მაგრამ მსგავსება აშკარა იყო. ბატონი თენგიზი დაინტერესდა და ერთი სწორედ ის ბანკი იყო, რომლის საქმეც მას ეწერა, ორი - სხვა. მან საქმეების გაერთიანება მოითხოვა, უარი უთხრეს და ამიტომ, კოლეგებს უთხრა, კოორდინირებულად ვიმოქმედოთ, დაზარალებულები ყველამ ერთად დავკითხოთო. მალე გაირკვა, რომ მათ ერთი რამ აერთიანებდათ - საბუთების დაკარგვა და ყველა შემთხვევაში, საბუთები მაშინ დაკარგეს, როცა ქუჩაში შეუძლოდ გახდნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს ანუ საქმეებში მუდმივად ფიგურირებდა სასწრაფო დახმარების მანქანა. ძნელი არ იყო იმის გარკვევა, თუ რომელი სასწრაფო მიდიოდა ხოლმე შემთხვევის ადგილზე და გაირკვა, რომ ყველა შემთხვევაში, ერთ და იგივე სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი გადიოდა და საბუთებიც სწორედ მათი მორიგეობის დროს იკარგებოდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადის წევრები ერთდროულად დააკავეს. ისინი მალე ალაპარაკდნენ და იმის გათვალისწინებით, რომ მათი ჩვენება გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს, ცხადი იყო, არ იტყუებოდნენ.

„დაახლოებით, ორი წლის წინ, ერთი კაცი დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ თუ პასპორტებს მივუტანდით, გარკვეულ თანხას გადაგვიხდიდა. ჩვენ თავიდან უარი ვუთხარით, მაგრამ... ფული ყველას სჭირდება და დავთანხმდით. უგონოდ მყოფ ადამიანებს პასპორტებს ვაცლიდით და ვაძლევდით. არ ვიცით, რაში იყენებდა, მაგრამ თითო პასპორტში 100 დოლარს გვაძლევდა, მძღოლი საქმის კურსში არ იყო და 50-50 დოლარი გვრჩებოდა“, - განაცხადა ცალკე ექიმმა და ცალკე - ექთანმა. მამაკაცს ტელეფონით უკავშირდებოდნენ, დეზერტირების ბაზართან ხვდებოდნენ და მოპარულ პასპორტებს იქ აძლევდნენ. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მაშინვე დაარეკინეს და იმის გათვალისწინებით, რომ დეზერტირების ბაზარი მუდმივად ხალხმრავალი ადგილი იყო, ოპერაციაზე 15 სამართალდამცავი წავიდა. რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა პასპორტების მყიდველში, არცთუ მცირე ჩინის კოლეგა შეიცნეს.

„წესითა და რიგით, ოპერაცია უნდა გაგვეუქმებინა, რადგან მარტივად შეგვეძლო ჩვენი კოლეგა მოგვიანებით აგვეყვანა, თან მას იარაღი ჰქონდა და შეეძლო, სროლა დაეწყო, თუმცა სასწრაფოს ექიმს გადასაცემად ჩემი პასპორტი გავატანე, როგორც კი დახედავდა, მაშინვე ყველაფერს მიხვდებოდა. ამიტომ, გადაწყდა, ოპერმუშაკები რაც შეიძლება ახლოს მისულიყვნენ და იარაღის გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცათ“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

ოპერაცია კარგად ჩატარდა, სამართალდამცავს ხელები მაშინვე ამოუგრიხეს, როგორც კი პასპორტი მიაწოდეს და გადაშლა დააპირა, თუმცა მან იქვე გაიღიმა და ამაყად თქვა, მოქალაქემ პასპორტი იპოვა და მე, როგორც მილიციის თანამშრომელს, მომაწოდა, რათა პატრონისთვის დამებრუნებინაო, მაგრამ მან არ იცოდა, რომ განყოფილებაში ორი აღიარებითი ჩვენება იყო. როცა მიხვდა, გასაქცევი არსად ჰქონდა, მოყოლა დაიწყო.

„ერთი მეზობელი მყავს, მსახიობია. ძალიან ნიჭიერია, მაგრამ თეატრში ცოტას უხდიან. არადა, გარდასახვის საოცარი უნარი აქვს, ყველანაირ გრიმს იკეთებს. სწორედ მას გავურიგდი და როცა პასპორტს მივიღებდი, სურათის მიხედვით, ის მაქსიმალურად ემსგავსებოდა მის მფლობელს, მერე ბანკში მიდიოდა და ფული გამოჰქონდა. მენდობოდა, რადგან სამართალდამცავი ვიყავი და სჯეროდა, რომ ვერ და არ დაიჭერდნენ. თანხის 10% მისი იყო, დანარჩენი - ჩემი. მე არავინ მომიკლავს, ეს უბრალოდ თაღლითობა იყო“, - განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ თაღლით სამართალდამცავს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ბანკებიდან წაღებული თანხა ვერსად იპოვეს. როგორც დაკავებული ამბობდა, უბრალოდ, დახარჯა, ბინების მფლობელებმა კი ხანგრძლივი პროცესი წამოიწყეს ქონების დასაბრუნებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის სქემა გახსნა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, თეიმურაზ კუპატაძის ბრიფინგი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის სქემა გახსნეს, დანაშაულებრივი ჯგუფის ათეულობით წევრი გამოავლინეს, დააკავეს და პასუხისგებაში მისცეს.

პოლიციის მიერ, სხვადასხვა დროსა და ადგილზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამ ეტაპზე დაკავებული და პასუხისგებაში მიცემული არის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 22 წევრი.

დაკავებულ და პასუხისგებაში მიცემულ პირებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, ბულგარეთისა და თურქეთის მოქალაქეები. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის 18 ივლისს, აჭარაში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სამ ხელმძღვანელ პირს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი.

გარდა ამისა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია სამი პირი: საქართველოს მოქალაქეები და მოქმედი ადვოკატები – 1984 წელს დაბადებული მ.ზ. და 1986 წელს დაბადებული ა.ფ., ასევე, თურქეთის მოქალაქე 1971 წელს დაბადებული მ.ჩ.

დაკავებული ადვოკატები იყვნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებიც განკარგავდნენ აღნიშნული ჯგუფის სარგებლობაში არსებულ საბანკო ანგარიშებს. ისინი, ფულის წარმომავლობის დამალვის მიზნით, თანხებს უცხოურ ვალუტაში აკონვერტირებდნენ და უკანონო ნარკოვაჭრობაში ჩართული პირების ანგარიშებზე რიცხავდნენ.

დანაშაულებრივ სქემაში მონაწილე პირები ახდენდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების: „ჰეროინის“, „კოკაინის“, „ბუპრენორფინის“, „მეტადონის“, „მეტამფეტამინის“, „ამფეტამინისა“ და „მდმას“ საქართველოში უკანონოდ შემოტანას. ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით აფასოებდნენ და ე.წ. დადების მეთოდით სხვადასხვა ლოკაციაზე ათავსებდნენ, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხებს კი ათეთრებდნენ.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება, ავტომობილები, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ასევე ამოღებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება – კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ბრალდებული პირები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 194-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სამ ბრალდებულს პატიმრობა, ხოლო ერთს გირაო შეუფარდა

საქართველოს პროკურატურამ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ოთხ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები, საცხოვრებლად უვარგის მიწის ნაკვეთებს, სადაც თითქოსდა შენობა-ნაგებობები იყო განთავსებული, გაყალბებული საკადასტრო ნახაზების საფუძველზე, საჯარო რეესტრში არეგისტრირებდნენ. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, აღნიშნული ქმედებით, ბრალდებულები ხელოვნურად ზრდიდნენ მიწის ნაკვეთების ღირებულებას და დაინტერესებულ პირებს ქონების ნამდვილ ფასთან დაკავშირებით მცდარ წარმოდგენას უქმნიდნენ.

„აღნიშნულის შემდეგ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დაზარალებულებს სხვა მიწის ნაკვეთებს აჩვენებდნენ, რომლებზეც რეალურად საცხოვრებელი სახლები იყო განთავსებული, მათთან ხელშეკრულებებს აფორმებდნენ და დაზარალებულების კუთვნილ თანხებს მოტყუებით ეუფლებოდნენ. ხსენებული სქემით, ბრალდებულები ხუთი მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით – 221 725 ლარს დაეუფლნენ.

დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, 6 ეპიზოდი) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ხოლო ერთს საპატიმრო გირაო შეუფარდა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილ თანამშრომლებს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ

ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებასა და სამსახურებრივ სიყალბეში ბრალდებულებს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილ თანამშრომლებს – ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსს, ამავე კლინიკის ინჟინერ-მშენებელს, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველსა და კერძო კომპანიის ყოფილ დირექტორს, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაო შეეფარდათ.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე სერგო მეთოფიშვილმა მიიღო და აღნიშნულით პროკურატურის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ზურაბ ამაშუკელს, ალექსანდრე ბელოუსოვსა და აკაკი ნოზაძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 5-000 5000-ლარიანი გირაო, თენგიზ არჩვაძეს კი 10 000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

პროკურატურა ზურაბ ამაშუკელის, ალექსანდრე ბელოუსოვისა და აკაკი ნოზაძის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000-10 000-ლარიანი გირაოს, თენგიზ არჩვაძეს მიმართ კი 15 000-ლარიანი გირაოს გამოყენებას შუამდგომლობდა. თავის მხრივ, ადვოკატები ბრალდებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ. კერძოდ, აკაკი ნოზაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ, მინიმალური, 2 000-ლარიანი გირაოს გამოყენებას, ზურაბ ამაშუკელის ადვოკატი კი ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას შუამდგომლობდა, სასამართლოს, ალტერნატივის სახით, 2 000 ლარს სთავაზობდა, ალექსანდრე ბელოუსოვის უფლებადამცველი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ 3 000-ლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდა.

რაც შეეხება თენგიზ არჩვაძეს, მას ადვოკატი არ ჰყავდა და ის მისამართლეს 3 000-ლარიანი გირაოს გამოყენებას სთხოვდა, რათა აღნიშნულის გადახდა შეძლებოდა.

„მაქსიმალურად ვცდილობ, გამოძიებას მივეხმარო, მიმალვის საფრთხე არ არსებობს, გამოძიების ეტაპზე, სამჯერ დავტოვე საზღვარი და უკან დავბრუნდი“, – განაცხადა არჩვაძემ.

ზურაბ ამაშუკელს, ალექსანდრე ბელოუსოვს და აკაკი ნოზაძეს სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე აქვთ ბრალი წარდგენილი. რაც შეეხება თენგიზ არჩვაძეს, მას თაღლითობას, თაღლითობის მცდელობას და ყალბი დოკუმენტის დამზადებას ედავებიან. ცნობისთვის, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, სამშენებლო სამუშაოების ყოფილ ტექნიკურ ზედამხედველს და ყოფილ ინჟინერ-მშენებელს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი სიყალბე), რაც სასჯელის სახედ და ზომად 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ხოლო შპს „ნიუმშენის“ ყოფილ დირექტორს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლება), სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობა) და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების მიზნით დამზადება) წარედგინა, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ამავე საქმის ფარგლებში, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულები არიან რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი ფინანსური დირექტორი, ამავე კლინიკის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი და ინდივიდუალური მეწარმე. ირაკლი გვაზავას, ლევან გიგოლაშვილსა და გიორგი ყეინაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

მოსალოდნელი მოულოდნელობა – ქართული კლუბები ევროთასებზე

როცა ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართული კლუბების მეტოქეები გაირკვა, პრაქტიკულად, ყველა შეთანხმდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი ორ „დინამოს“ – თბილისსა და ბათუმს ჰქონდა, აი, გორის „დილა“ და ქუთაისის „ტორპედო“ კი მომდევნო ეტაპამდე, სავარაუდოდ, ვერ მიაღწევდნენ. გარდა იმისა, რომ თბილისური „დინამო“ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, ის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობდა და ამიტომ, ყველაზე მეტად სწორედ მათ ვგულშემატკივრობდით. ყაზახური „ასტანას“ ბარიერის გავლის შემთხვევაში, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი ზაგრების „დინამოს“ ხვდებოდა და მათთან თუ დამარცხდებოდა, კონფერენსლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაერთვებოდა, რითაც ჯგუფში მოხვედრასთან, ერთ ნაბიჯში იქნებოდა. სამწუხაროდ, დედაქალაქელებმა გასვლაზე ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ, შინ, ყაზახებთან წააგეს და მართალია, კონფერენსლიგაზე მაინც გადაერთვნენ, მაგრამ ბევრად დიდი გზის გავლა მოუწევთ. თბილისელების მეტოქე მალტის „ჰამრუნი“ იქნება.

სამწუხარო მარცხი განიცადა ბათუმის „დინამომ“. აჭარლებმა ალბანური „ტირანა“ სტუმრად ისე დაჩაგრეს, საქმე პირველივე შეხვედრაში უნდა დაესრულებინათ, მაგრამ იქ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით ფრეს გამორჩნენ, ბათუმში კი... ზღვისპირა ქალაქში გულშემატკივარმა სტადიონი გაავსო და როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი გუნდის მარცხი ენახა. აჭარლები ევროთასებს, ყველაზე ცოტა, ერთი წლით დაემშვიდობნენ.

ამ ყველაფრის ფონზე, სასწაული მოახდინა ქუთაისი „ტორპედომ“, ქუთათურებმა ბოსნიურ „სარაევოსთან“ შინ, ფრედ ითამაშეს, სტუმრად კი 90-ე წუთამდე, მინიმალური ანგარიშით მარცხდებოდნენ, მაგრამ ბიჭებმა იბრძოლეს და მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაათანაბრეს, შემდეგ, პენალტების სერიაში ივარგეს და მომდევნო ეტაპზე, ყაზახურ „აკტობეს“ შეხვდებიან. არ არის „აკტობე“ სუსტი გუნდი, მაგრამ არც ისეთი ძლიერია, „ტორპედო“ ვერ გასცდეს.

უფრო დამაჯერებელი შეხვედრა ჩატარდა გორში. „თენგიზ ბურჯანაძეზე“, „დილამ“ სლოვაკეთში წაგებული 2:1 შემოატრიალა, 2:0 მოიგო და შემდეგ ეტაპზე, უკრაინულ „ვორსკლას“ დაუპირისპირდება. ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ რომელიმე ქართული კლუბი ჯგუფურ ეტაპამდე თუ არა, პლეი-ოფამდე მისვლას მაინც მოახერხებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ჩემპიონატი ისევ უკან დაიხევს და მომდევნო წლებში უფრო გაგვიჭირდება – დაბალი კოეფიციენტის გამო, უკანასკნელი ეტაპებიდან ვიწყებთ შესარჩევს და მეტოქეებიც ბევრად ძლიერები გვხვდებიან.

საქართველო მსოფლიოსთვის შეკრებაზე გადავიდა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას ტრევიზოში გადის. იტალიაში, ილიას ზუროსმა 18 კალათბურთელი იახლა, საიდანაც 12 საუკეთესოს იაპონიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ წაიყვანს. სანამ ნაკრების შემადგენლობაზე ვიტყვით, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით, იაპონიაში, ფილიპინებსა და ინდონეზიაში ჩატარდება. ტურნირში 32 ნაკრები მონაწილეობს, რომლებიც რვა ოთხგუნდიან ჯგუფში არიან გადანაწილებულნი. F ჯგუფში, საქართველოს ნაკრების მეტოქეები სლოვენია, ვენესუელა და კაბო ვერდე არიან. საქართველოს ნაკრები ჯგუფური ეტაპის შეხვედრებს იაპონიის ქალაქ ოკინავაში გამართავს. ჯგუფიდან კი ორი საუკეთესო ნაკრები გავა ანუ საქართველოს, სავარაუდოდ, სლოვენიასთან ძალიან გაუჭირდება, მაგრამ ვენესუელასა და კაბო ვერდეს უნდა მოვუგოთ.

რაც შეეხება შეკრებაზე მყოფ ბიჭებს. შეკრებას შემდეგი კალათბურთელები გადიან: გიორგი ცინცაძე, რატი ანდრონიკაშვილი, სანდრო მამუკელაშვილი, გოგა ბითაძე, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე, თად მაკფადენი, თორნიკე შენგელია, მიხეილ ბერიშვილი, კახა ჯინჭარაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, გიორგი კორსანტია, ბექა ბექაური, გიორგი ტურძელაძე, ლუკა ლიკლიკაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ნიკოლოზ გაფრინდაშვილი და დავით კაკუშაძე.

შუაგულ პარიზში – დონარუმა დააყაჩაღეს

იტალიის ნაკრებისა და ფრანგული „პსჟ“-ს მეკარე, ჯანლუიჯი დონარუმა 20 ივლისს, ღამით, დააყაჩაღეს. ისე არ გეგონოთ, თითქოს, ყველაფერი მსუბუქ ფორმებში მოხდა. არა, ბატონებო, ეს იყო ჰოლივუდური თრილერი, რომელში მონაწილეობისთვის, დონარუმას ოსკარს ნამდვილად არ მისცემენ.

მოკლედ, სახლი, სადაც მეკარე ცხოვრობს, პრესტიჟულია, რაც მთავარია, ვიდეოთვალებით და დაცვის პოლიციის ჯიხურებით აღჭურვილ უბანში. დონარუმა, მეგობარ გოგონასთან ერთად, შინ ისვენებდა, როცა მასთან ყაჩაღები შევარდნენ. მათ წყვილი გააშიშვლეს (?!), შემდეგ აბაზანაში გაიყვანეს, სკამზე დასვეს და დააბეს. სანამ ყაჩაღები სახლის გასუფთავებით იყვნენ დაკავებულნი, დონარუმამ მოახერხა, თოკი გახსნა და მეგობარ გოგონასთან ერთად, ფანჯრიდან გადაიპარა. ისინი უახლოეს სასტუმროში შევარდნენ და პერსონალს პოლიციის გამოძახება სთხოვეს. პოლიცია ადგილზე მალე მივიდა, მაგრამ ყაჩაღები უკვე წასულები დახვდნენ. მეკარე და მისი მეგობარი გოგონა ისე იყვნენ შეშინებულები, რომ მათი საავადმყოფოში გადაყვანა და ფსიქოლოგთან გასაუბრება გახდა საჭირო. ძვირფასეულობასთან ერთად, თავდამსხმელებმა, ნაღდი ფულის სახით, ნახევარი მილიონი ევრო წაიღეს.

შენგელია „პანათინაიკოსს“ არ მიჰყიდეს



იტალიური „ვირტუსისა“ და საქართველოს ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია არა მარტო კლუბში, არამედ, ევროპაშიც ერთ-ერთი გამორჩეულია. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ მისი გადაბირება საკალათბურთო გრანდმა, ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ გადაწყვიტა. ბერძნები მზად არიან, ქართველის სანაცვლოდ, 500 ათასი ევრო გადაიხადონ, მასთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმონ და თავად შენგელიას ამჟამინდელი ჯამაგირი გაუზარდონ. როგორც იტალიური მედია წერს, თორნიკე „ვირტუსში“ წლიურად 2.8 მილიონ ევროს იღებს, „პანათინაიკოსი“ კი მზადაა, 4 მილიონი გადაიხადოს. თავად კალათბურთელმა ევროპულ გრანდში გადასვლაზე თანხმობა თქვა, მაგრამ...

„შენგელია გუნდის ლიდერია და მისი გასხვისება არც კი განიხილება. შეგვიძლია, გულშემატკივრები დავამშვიდოთ, თორნიკე მომავალ სეზონსაც „ვირტუსში“ გაატარებს“, – ეს განცხადება კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა.

ჩაკვეტაძე კარიერას „უოტფორდში“ გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, გიორგი ჩაკვეტაძე კარიერას ინგლისის ჩემპიონშიფის „უოტფორდში“ გააგრძელებს. ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ გიორგი ფრანგულ „მეცს“ შეერთებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩაკვეტაძე ბელგიური „გენტის“ საკუთრებაა და ამ კლუბს მისი არც გაყიდვა სურს და არც დაბრუნება, განათხოვრებაზე კი საკუთარი პირობები აქვს.

როგორც ჩანს, ეს პირობები, სწორედ „უოტფორდმა“ დააკმაყოფილა და გარიგებაც შედგა. ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და საიჯარო კონტრაქტს ხელიც მოაწერა. ეჭვი გვაქვს, ამ გარიგებას საქართველოს ნაკრების თავკაცის, ვილი სანიოლის გარეშე არ ჩაუვლია. საქმე ის გახლავთ, რომ „უოტფორდის“ ამჟამინდელი თავკაცი ვალერიენ ისმაელია, სპეციალისტი, რომელიც 2005-07 წლებში, მიუნხენის „ბაიერნში“, ბურთს სწორედ სანიოლთან ერთად აგორებდა.

მესიმ დაიწყო – პირველი გოლი „ინტერ მაიამის“ მაისურით

„ინტერ მაიამიში“ გადასული ლიონელ მესი უკვე ამერიკის მთავარი ვარსკვლავია. მარტო ის რად ღირს, რომ მის სადებიუტო შეხვედრაზე დასასწრები ბილეთი შავ ბაზარზე 110 ათას დოლარადაც კი გაიყიდა.

ლეოს გუნდი მექსიკურ „კრუს ასულს“ ხვდებოდა და არგენტინელი მოედანზე 54-ე წუთზე შევიდა. ადგილობრივი პუბლიკა მას ფეხზე წამოუდგა, ლეომაც არაერთი ლამაზი მომენტი შექმნა, მაგრამ ტაბლოზე 1:1 ჯიუტად ენთო. მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე, მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან, ჯარიმა დაინიშნა და შესრულება მესიმ ითავა. საოცრების მოლოდინში სტადიონი გაირინდა და მაყურებელი არ შემცდარა – ლეომ საოცარი გოლი შეაგდო და გუნდს გამარჯვება მოუტანა. ამასთან, მესი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც კარიერაში 700 გოლი პენალტებიდან შეგდებული ბურთების გამოკლებით გაიტანა, რაც მართლაც საოცარი შედეგია.

მამარდაშვილი და „ბაიერნი“ ჩაიშალა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ვალენსიას“ მეკარე, გიორგი მამარდაშვილი მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლასთან ერთ ნაბიჯში იყო, მაგრამ ტრანსფერი არ შედგება. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანურმა მხარემ, ქართველის სანაცვლოდ, 30 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც გერმანულ გრანდს ეძვირა. როგორც ევროპული მედია წერს, მიუნხენელები 20 მილიონს იხდიდნენ, მაგრამ 5 მილიონს უპრობლემოდ დაამატებდნენ, თუმცა „ვალენსიამ“ არ დათმო.

ესპანელებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ და ამიტომ ცდილობენ, მამარდაშვილი, რაც შეიძლება, სარფიანად გაყიდონ. მათ კარგად იციან, რომ გიორგის არა ერთი და ორი მსურველი ჰყავს, მით უმეტეს იმის ფონზე, როცა მეკარის გარეშე მილანის „ინტერიც“ დარჩა, რომელმაც ძირითადი კიპერი „მანჩესტერში“ გაუშვა. იტალიური გრანდი მამარდაშვილით ადრეც ინტერესდებოდა და ახლა, 30 მილიონის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს. ოფიციალური მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, იტალიური მედია ირწმუნება, გიორგის გვარი „ინტერის“ ხელმძღვანელების ბლოკნოტში წერია და ახლა მთავარია, ტრანსფერზე შეთანხმება მოხერხდესო.

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ტრაგედიით დაიწყო

ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში, ფეხბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ტურნირის გახსნითი შეხვედრა ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში, მასპინძლებსა და ნორვეგიას შორის შედგა, თუმცა მატჩის დაწყებამდე ტრაგედია მოხდა. მაშინ, როცა ქომაგები სტადიონის შესასვლელთან შეჯგუფდნენ, უცნობმა პირმა იარაღი ამოიღო და უმისამართო სროლა დაიწყო.

„თავდამსხმელის ლიკვიდაცია პირველი გასროლიდან 30 წამის შემდეგ მოხდა, მაგრამ მან ამ დროის განმავლობაში, ორი ადამიანის მოკვლა და ექვსის დაჭრა მოასწრო. ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებს, ეს არის ის, რასაც არავინ ელოდა“, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის შეფმა.

დავით შემოქმედელი

კუპეში

გიზო კუპეში შევიდა. მატარებლის გასვლას თითქმის აღარაფერი აკლდა. ჯიბიდან ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“ ამოიღო და „დიპლომატთან“ ერთად მაგიდაზე დადო. საშინელი, დახუთული ჰაერი დახვდა. პიჯაკი იქვე ჩამოჰკიდა. პერანგის ღილები შეიხსნა, სარკეში საკუთარ თავს დააკვირდა. ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და წინ დარჩენილი თმის ნაწილი უკან გადაიწყო. ბოლო დროს ჩვევად ექცა, სადაც სარკეს დაინახავდა, თმა უნდა შეესწორებინა, თანაც ისე, რომ სიქაჩლე ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო.

მატარებელი ნელა, ხვნეშით დაიძრა. გიზო დერეფანში გავიდა. მეზობელ კუპეებში მგზავრებს მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა. კაცმა რომ თქვას, ახლა ნამდვილად არ იყო ვინმესთან ლაქლაქის განწყობაზე. ვაგონის სარკმელი ჩამოსწია. გარედან შემოჭრილი ცივი, გამჭოლი ჰაერი სახეზე სასიამოვნოდ ეხლებოდა. სიგარეტი გააბოლა, ბლოკნოტი ამოიღო, წესად ჰქონდა, როცა მეორე დღისთვის ჩვეულებრივზე მეტი საქმე დაუგროვდებოდა, წინა დღით გეგმას შეადგენდა. უცებ წარმოიდგინა, რამდენად სასაცილო იქნებოდა ფანჯარასთან ბლოკნოტით ხელში. ვინმეს, ალბათ, პოეტიც კი ვეგონებიო, გაიფიქრა და ჩაეცინა.

დღეს საკმაოზე მეტი საქმე მოითავა. როცა საწარმოს ასე უჭირს, ვერ იზამ, ლაბაძე, შენს საქმესო, უმტკიცებდა დირექტორი. ბოლოს, ძლივს დაითანხმა.

– მაინც, რამდენჯერ მომიხდა ამ სამი წლის განმავლობაში აქეთ წამოსვლა, – ფიქრობდა გიზო და, გარეთ როგორ გარბოდნენ ხეები, სახლები, ან ელექტროგაყვანილობის ბოძები, აღარც კი აკვირდებოდა, – დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო, ხომ არ ეგონათ, ხომ მიყურებდნენ სკეპტიკურად, ხომ ქირქილებდნენ ჩემზე, რა დროს მაგისი დისერტაციაა, ხომ მაინც ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმი. ცოტაც და, დისერტაციასაც დავიცავ, ხელფასი ხელფასად და დირექტორიც უკვე საპენსიო ასაკს მიუახლოვდა. როგორც ვიცი, არც ზემოთ უყურებენ კარგი თვალით. მაშინ... ჩემზე ღირსეული კანდიდატი ვინ იქნება? მერე იცინონ! პირველ დღესვე ბონდოს მოვხსნი, იკითხოს, როგორია უფროსთან ჯაშუშობა.

მარტო იმის გაფიქრებაზე, რომ ლაურა მისი პირადი მდივანი გახდებოდა, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა. მალე მატარებელი შეჩერდა, სადგურზე მგზავრები კანტიკუნტად ირეოდნენ. ბავშვის ტირილზე მარჯვნივ გაიხედა. ვაგონში ბავშვებიანი ქალი ამოსულიყო. ბიჭი, ასე, სამი-ოთხი წლისა, ფეხებში ებლანდებოდა. ქალს ცალი ხელით ჩვილი ბავშვი მიეკრა მკერდზე, მეორეში ჩემოდანი ეჭირა და ძლივს მოიწევდა წინ, თან კუპეებს აკვირდებოდა. ჩემთან მოდისო, გაიფიქრა გიზომ და გუნება წაუხდა, – მოდი, მოისვენე ახლა ამათი შემხედვარე. არც შემცდარა: ქალი გიზოს კუპესთან შეჩერდა, დააკვირდა და შიგ შევიდა. ბიჭი არ შეჰყვა, პირდაპირ გაიქცა.

– მამუკა, დაბრუნდი, სად მიდიხარ! – დაბალი ხმით გასძახა ქალმა.

– მორჩა, დაიწყო კონცერტი, – გაიფიქრა კაცმა.

ბიჭი ვაგონის გასასვლელ კარს წაეპოტინა, იქით გაღწევას ცდილობდა. გიზომ კართან მიირბინა. ბავშვი აღარ გასძალიანებია და კუპეში შეიყვანა.

– გმადლობთ, როგორ შეგაწუხეთ... ასე იციან, გადარეულები არიან, – ამას უფრო ბიჭის მისამართით ამბობდა, თორემ მეორე ჩვილის ინსტიქტით ტიროდა. ბავშვი თითებს წინ იშვერდა, ქალი რიტმულად არწევდა, რომ ჩასძინებოდა, თორემ ტირილი მეზობელ კუპეშიც აღწევდა. ჩვილი კიდევ უფრო გადაიწია. კაცმა შენიშნა, ჟურნალს რომ აკვირდებოდა და თითებთან მიუტანა. თანდათან უკლო ტირილს, ცნობისმოყვარე, გაოცებული თვალებით დააცქერდა ნაწერს.

– მეცნიერი გამოვა, – ხუმრობასავით თქვა კაცმა.

– ღმერთმა ქნას, – ჩაეცინა ქალს.

მამუკა საწოლის კიდესთან რაღაცას ჩაჰკირკიტებდა, მერე მობეზრდა. იმდენი მოახერხა, საწოლზე ავიდა, იქიდან მაგიდაზე ასვლას შეეცადა. მაშინ გიზომ ხელი ფრთხილად მოჰკიდა და დაბლა ჩამოიყვანა. ბიჭი არც ახლა გასძალიანებია. მერე ისე გათამამდა, რომ გიზოს მუხლებზე შეჯდომაც მოიწადინა. დედა გაუწყრა. გიზოს გაეცინა ბავშვის ამ ახირებაზე. მას ახლა თავისი პატარა თითები გიზოს ხელისგულზე დაედო და მთელი ძალით აწვებოდა, ჩვილს კი, თვალები თანდათან ეხუჭებოდა. ოქროსფერი თმით ნამდვილ დედოფალას ჰგავდა. ქალმა მძინარე ბავშვი ფრთხილად საწოლზე დასვა. თითქოსდა, ახლა იგრძნო კუპეში ზომაზე მეტი სიცხე, ლაბადა გაიხადა. გიზო უნებურად აკვირდებოდა: ქალი, ასე, ოცდაათი წლისა იქნებოდა. თხელი, სუსტი მხრები და უკან კოხტად ჩამოყრილი შავი თმა საკმაო სინატიფეს სძენდა, თუმცა ხელებზე ეტყობოდა, რომ არც ფიზიკურ შრომას იყო უჩვევი. მამუკას უკვე არაქათი გამოსცლოდა და საცაა, მასაც დაეძინებოდა. ქალმა თეთრეულის დაგება დაიწყო. გიზო დერეფანში გავიდა. კუპეში შებრუნებული კი, ქალის მიერ ფაქიზად დაგებულ საწოლზე დაწვა და თითქოს მთელი დღის დაღლილობამაც გაუარა. მერე დიდხანს აკვირდებოდა, რა მშვიდად ეძინა სამივეს, სანამ თავადაც არ ჩაეძინა.დილით ხმაურმა გამოაღვიძა. ქალი უკვე ფეხზე იყო და ბიჭს აღვიძებდა. გიზომ საათს დახედა. ბოლო გაჩერებამდე ორი საათი რჩებოდა.

– ჩადიხართ? – იკითხა გიზომ.

– დიახ, – უპასუხა ქალმა.

ახლად გაღვიძებული მამუკა წონასწორობას ძლივს იკავებდა, ბანცალებდა. მატარებელმა სვლა შეანელა და ცოტა ხანში გაჩერდა კიდეც.

– დაგეხმარებით, – უთხრა კაცმა ისე, რომ ქალის პასუხს არც დალოდებია და ჩემოდანი აიღო.

მერე, ვაგონის ფანჯრიდან დაინახა, მაღალმა, შავგვრემანმა კაცმა როგორ ჩაიკრა სამივე გულში, როგორ აიტაცა ხელში თავისი პაწია ბიჭი და მხრებზე შეისვა. გიზო კი, მანამ იდგა, ვიდრე ისინი თვალს არ მიეფარნენ. კუპეში შებრუნდა. მაშინვე შეამჩნია, ქალს ბავშვის საწოვარა დარჩენოდა. იატაკზე ყდაშემომძვრალი ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“ ეგდო. უცბად თავისი ერთოთახიანი ბინა გაახსენდა, წლების განმავლობაში თითქმის გადაუადგილებელი, ხელშეუხები ნივთები. აგერ, უკვე ოცი წელი სრულდებოდა, მარტოდ, თავისთვის ცხოვრება გიზოსთვის ერთადერთი მიღებული და დადგენილი წესი იყო. ნახევარი ცხოვრება უაზრო ყოფით პრობლემებზე, კარიერასა და დისერტაციაზე ფიქრმა წაიღო. წუხანდელი საღამოს კადრები გონებიდან არა და არ ქრებოდნენ. ამ ერთი ღამით თითქოს ოჯახურ, თბილ გარემოში იგრძნო თავი. ზუსტად არ ახსოვდა, მაგრამ პროსპერ მერიმეს რაღაც ამგვარი ეწერა: „ყველაფერს გავცვლიდი, ოღონდ, ერთი პატარა კულულებიანი გოგონა მყოლოდა.“

ფანჯარაში გაიხედა. აჩქარებული ბორბლების ხმაური უფრო მეტად იგრძნო. მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა ბოლო სადგურისკენ.

დილით ინსტიტუტში სწავლულ მდივანთან უნდა მივიდეს, მერე, ოპონენტები უნდა ნახოს, მერე – კათედრაზე თემის ხელმძღვანელი და ასე შემდეგ...

მაგრამ, კაცი ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა...

ბარის მენიუს შეეწირა

ტრაგიკული ინციდენტი იამაიკაზე მოხდა, სადაც 53 წლის ბრიტანელი ტომოთი საუზერნი, ოჯახთან ერთად, შვებულებას ატარებდა. სასტუმრო Rooyal Decameron Club Caribbean-ის აუზთან მდებარე ბარში, ტურისტმა ექსპერიმენტის ჩატარება მოინდომა – მან ბარის მენიუში არსებული 21 სახეობის კოქტეილის გასინჯვა გადაწყვიტა, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ ამ სასიკვდილო ექსპერიმენტის დაწყებამდე, მას უკვე დალეული ჰქონდა ლუდი და ვისკი. 12 სახეობის კოქტეილის დალევის შემდეგ, ცნობისმოყვარე დეგუსტატორმა თავი შეუძლოდ იგრძნო და ნომერში წავიდა. იქ უფრო ცუდად გახდა და გამოძახებულმა სასწრაფომაც ვეღარ უშველა. იამაიკელმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ბრიტანელი მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი ჭარბი ალკოჰოლი იყო.

მაშველების შეწუხებისთვის დააპატიმრეს

იაპონიის პოლიციამ ტიბას პრეფექტურიდან, 51 წლის ნიროკო ხატაგამი დააკავა. თითქმის სამი წლის განმავლობაში, ქალბატონს სამაშველო სამსახურის 2 761 ცრუ გამოძახება ედება ბრალად. ნიროკო ხატაგამი ადგილობრივი სახანძრო სამსახურის მუშაობაში ხელშეშლის გამო დააპატიმრეს. ქალბატონმა აღიარა, რომ მაშველებთან რეკავდა, როგორც საკუთარი სახლიდან, ისე მეზობლად მდებარე ადგილებიდან, რადგან თავს მარტოდ გრძნობდა და სურდა, ვინმეს მისთვის მოესმინა, ან ყურადღება მიექცია. ქალი დარეკვისას, მაშველებს ცრუ ინფორმაციას აწვდიდა, ხან მუცელი სტკიოდა, ხან – ფეხები, ხან ნარკოტიკების ზედოზირებაზე ჩიოდა, ადგილზე მისულ სპეციალისტებს კი დახმარებაზე უარს ეუბნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივმა სამაშველო სამსახურმა ქალს უჩივლა და ის მხოლოდ ამის შემდეგ დააკავეს. კვლევებით ცნობილია, რომ იაპონიაში 1.5 მილიონი ადამიანი „მწვავე მარტოობისგან“ იტანჯება. COVID-19-ის გამო არსებულმა საგანგებო სიტუაციამ კი ეს პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა.

მაღაზიამ ტურისტებისთვის გადასახადი შემოიღო

ბარსელონაში მდებარე ისტორიულმა გასტრონომმა – Colmado Múrria, ტურისტებისთვის 5 ევროს ოდენობის გადასახადი შემოიღო. მაღაზიაში უამრავი მნახველი შედის, ყიდვით კი თითქმის არაფერს ყიდულობენ და მხოლოდ ფოტოებს იღებენ. მოდერნის სტილში გაფორმებული ეს გასტრონომი 1898 წელს გაიხსნა და ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დაწესებულებაა. აქ კვების მაღალხარისხიანი პროდუქტი იყიდება, მათ შორის, დახვეწილი ღვინო, ხორცი და ყველის უამრავი სახეობა. მაღაზიის თვალისმომჭრელი ფასადი, ორიგინალური დახლი, წითელი ხის ავეჯი და სარეკლამო აბრები გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველ გარემოს ქმნის. მნახველების უმრავლესობა აქ „სელფისთვის“ შედის – ლამაზი ფოტოების გადასაღებად, ყიდვით კი არაფერს ყიდულობენ. ამის გამო, დაწესებულების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მხოლოდ დამთვალიერებელს გარკვეული თანხა გადაახდევინოს. კარზე შესაბამისი აბრაც ჩამოჰკიდეს, მაგრამ ფული ჯერ არავისგან აუღიათ – მაღაზიის მენეჯერის თქმით, ფოტოების გადაღების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა.

დაბინძურებულ მდინარეზე „გათხოვდა“

ნისლიან ალბიონზე, 27 წლის მეგან ტრამპი მდინარე ეივონზე „გათხოვდა“, რომელიც კანალიზაციის წყლით არის დაბინძურებული. მეგანს სურს, რომ ამ „საკმაოდ გიჟური“ ქორწინების შემდეგ, გვარიც შეიცვალოს. საქორწინო ცერემონია არ ჰგავდა ჩვეულებრივს – ქალმა ერთგულება „შეჰფიცა“ ქვეყნის სიდიდით მე-19 მდინარეს, რომელიც ქალაქ ბრისტოლს კვეთს. მთლიანობაში, ქორწილი ეივონს ეძღვნებოდა, მის დაცვასა და მასზე ზრუნვის მცდელობას.

„მდინარე ისეთი დაბინძურებულია, რომ მასში ცურვისას, ადამიანებს დიარეის შეგრძნება უჩნდებათ. არადა, ის ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ეს ქორწილიც ამ პრობლემაზე ყურადღების მიქცევის მცდელობაა“, – აცხადებს პატარძალი, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად, მდინარის გასაწმენდად იბრძვის.

ვილა ცათამბჯენის სახურავზე

ინდოელი მილიარდერის ეს ახირება მშენებლებმა რეალობად აქციეს. მდიდარ შემკვეთს სასახლე ქალაქ ბანგალორში, ცათამბჯენ Kingfisher Touwers-ის თავზე აუშენეს. საცხოვრებელი ნამდვილად რეალურ ადამიანს – ვიჯაი მალიეს ეკუთვნის. მდიდრული სვეტებიანი სასახლე, თავზე – ვერტმფრენის მოედნით, აუზით, სპა-სალონით, მწვანე მდელოებითა და ცივილიზაციის ყველა სხვა სიკეთით, მფლობელს 20 მილიონი დოლარი დაუჯდა. თუმცა, ამ ახალ საცხოვრებელში გადასვლა მალიემ ვერ მოახერხა, რადგან კანონთან პრობლემები შეექმნა. ინდოეთის უდიდესი ალკოჰოლური კომპანიის, ავიაკომპანიისა და „ფორმულა-1“-ის გუნდის მფლობელმა, რომელიც მსოფლიოს 150 უმდიდრესი ადამიანების რიცხვშია, ქვეყანა სასწრაფოდ დატოვა – მას სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციასა და დატაცებებში სდებენ ბრალს. ინდოელი ოლიგარქი იძულებულია, დიდ ბრიტანეთს შეაფაროს თავი. თუმცა, არც ნისლიან ალბიონზე აქვს ნაკლები საცხოვრებელი – მისი ვილა ჰარტფორდშირში მდებარეობს, რომელიც „ფორმულა-1“-ს ექს-ჩემპიონის, ლუის ჰამილტონის მშობლებისგან შეიძინა.

ხმამაღალი მუსიკისთვის დააჯარიმებენ

პორტუგალიის ხელისუფლებამ ქვეყნის პლაჟებზე ხმამაღალი მუსიკა აკრძალა. კანონდამრღვევებს დააჯარიმებენ, ფიზიკურ პირებს – 200-400 ევროთი, ხოლო იურიდიული პირებისთვის ჯარიმა 2 000-დან 36 000 ევრომდეა. როგორც პორტუგალიის მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, ამ გადაწყეტილებით სურთ, ხმაურის დონე შეამცირონ და ტურისტებსაც და ადგილობრივ მცხოვრებლებსაც საშუალება მისცენ, სიმშვიდეში დაისვენონ, დატკბნენ ბუნებით და მისი ხმებით.

მდინარე მსხვერპლად აღიარეს

კოლუმბიაში, სპეციალურმა იურისდიქციამ მშვიდობის საკითხებში (JEP), მდინარე კაუკას შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა. ხელისუფლებასა და პარტიზანებს შორის მიმდინარე ომის დროს, მდინარეში ათასობით გარდაცვლილი ჩაყარეს, მაგრამ გარდა ამისა, მასში ჩაედინება ვერცხლისწყალი და ტოქსიკური ნარჩენები – ნარკოტიკების წარმოებისას. JEP-ი მიიჩნევს, რომ მდინარე კაუკა სერიოზულად დაზარალდა. ბუნებისა და ეკოლოგიის წინააღმდეგ ჩადენილი ასეთი ქმედებები არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ უფლებას. ამის გამო, შეიძლება, ეს სამხედრო დანაშაულადაც ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ აქამდე შეიარაღებულ კონფლიქტში დაზარალებულის სტატუსი არც ერთ მდინარეს არ მიუღია.

დამატკბობელი კანცეროგენად აღიარეს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დამატკბობელი ასპარტამი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასმელ თუ საკვებ პროდუქტებში, პოტენციური კენცეროგენული ნივთიერებების სიაში შეიტანა. ზოგიერთი შეფასებებით, ის კიბოს გამომწვევად აღიარეს. თუმცა, მეცნიერებს არ აქვთ ამ საფრთხის დამადასტურებელი ფაქტები, სრულად რომ აკრძალონ ეს ნივთიერება. გარდა ამისა, ადამიანების უმრავლესობა მას მაინც დასაშვებ ნორმაზე ნაკლები რაოდენობით მოიხმარს. ასპარტამს შეიცავს ბევრი უშაქრო სასმელი, როგორიც არის, მაგალითად, Coca-Cola Zero. ეს დამატკბობელი დაახლოებით 200-ჯერ ტკბილია შაქარზე და ამასთან, თითქმის არ შეიცავს კალორიებს. უნდა აღინიშნოს, რომ 1981 წლიდან, როცა აშშ-ის ჯანდაცვის ფედერალურმა სააგენტომ (FDA) მის გამოყენებაზე ნებართვა გასცა, ასპარტამმა ბევრი კამათი გამოიწვია მის სარგებელსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაგრამ გვერდითი მოვლენების მიუხედავად, მისი მოხმარება მკვეთრად გაიზარდა. FDA-ს მიხედვით, ასპარტამის მიღება უსაფრთხოა დღიურად 50 მგ/კგ დოზით.

32-ე შნობელის პრემიები დაარიგეს

ცოტა ხნის წინ, ანტინობელად ცნობილი, ეგრეთ წოდებული, შნობელის პრემიების გადაცემის ცერემონია გაიმართა. ათმა ლაურეატმა საკუთარი წილი ყურადღება და 10 ტრილიონი ზიმბაბვური დოლარი (დაახლოებით, 10 აშშ დოლარი) მიიღო. ნომინაციაში „უსაფრთხოების ტექნიკა“, პრემია შვედ ინჟინერს მაგნუს გენსს მისცეს, რომელმაც ავტომობილების ქრაშ-ტესტებისთვის საფრთხობელა შექმნა.

„ტექნიკის“ ნომინაციაში პირველობა არავის დაუთმო იაპონელმა პროფესორმა გენ მაცუძაკიმ, რომელმაც გაარკვია, როგორც გამოვიყენოთ ხელის თითები უფრო ეფექტიანად, კარის სახელურის ტრიალისას.

„გამოყენებითი კარდიოლოგიის“ ნომინაციაში გამარჯვებულები გახდნენ სწავლულები, რომელთაც გაარკვიეს, რომ შეყვარებულების გულები სინქრონულად ფეთქავენ.

„ხელოვნების ისტორიაში“ პირველობა მიაკუთვნეს ნიდერლანდელ მკვლევარებს. მათ მაიას ტომის-დროინდელი თიხის ჭურჭელზე იმის მტკიცებულება აღმოაჩინეს, რომ რიტუალების დროს, ინდიელები ნარკოტიკული ნივთიერებების ოყნებს იკეთებდნენ.

ჟიურიმ ასევე გამოარჩია ის სწავლულები, რომლებიც იურიდიული ტექსტების აღქმის სირთულეების მიზეზებს იკვლევდნენ და მათ პრემია „ლიტერატურის„ ნომინაციაში მიანიჭეს.

შნობელები მიიღეს იმ მკვლევარებმა, რომლებიც ჭუკებისა და დედა-იხვის ურთიერთობას იკვლევდნენ, დაჯილდოვდნენ ნაყინით ტკივილის დაამებისა და ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების შემცირების შემსწავლელი სპეციალისტები, ჭორიკნებისთვის ალგორითმის შემქმნელები და სხვები. შნობელის ცერემონია წელს, ონლაინ-ფორმატით გაიმართა.

ლინდსი ლოჰანი დედა გახდა

ამერიკელი მსახიობი ლინდსი ლოჰანი, რომელსაც ხშირად „ჰოლივუდელ ხულიგანსაც“ უწოდებენ, 37 წლის ასაკში, პირველად გახდა დედა. ბავშვის მამა არაბი ფინანსისტი ბადერ შამასია. კარგა ხანია, წყვილი დუბაიში ცხოვრობს და მათი ვაჟიც აქ დაიბადა. ბავშვს არაბული სახელი ლუაი დარქვეს. ლოჰანი და შამასი ერთმანეთს რამდენიმე წლის განმავლობაში ხვდებოდნენ, შარშან ზაფხულში, კი მათ ოფიციალურად იქორწინეს. მსახიობი ამბობს, რომ ბედნიერია საემიროებში ცხოვრებით. კარგა ხანს, მას პაპარაცები არ ასვენებდნენ და ეს მუსულმანური ქვეყანა იმითაც მოსწონს, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. როგორც ჩანს, ლოჰანმა წარსულში დატოვა თავქარიანი თავგადასავლები და სკანდალები – ნარკოტიკები, სასმელი, სარებილიტაციო კლინიკები, დაკავებები, ღამის კლუბების ცხოვრება და ახლა ოჯახური იდილიით ტკბება.

თვითაღმდგენი მინა გაჯეტებისთვის

კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსების ჯგუფმა თვითაღმდგენი მასალა შექმნა, რომელსაც შეუძლია ელექტრობის გატარება. ეს საშუალებას იძლევა, რომ სიახლე სმარტფონების ეკრანებისთვის გამოიყენონ. ტესტების დროს, თვითაღმდგენი მინა ნაფხაჭნებისა და ბზარების სიმტკიცეზე წარმატებით გამოსცადეს. თუკი მას შუაზე გადატეხავთ, მინის სრულ თვითაღდგენას ერთ დღე-ღამეზე ნაკლები დასჭირდება. გარდა ამისა, მას შეუძლია, თავდაპირველ ზომაზე 50-ჯერ მეტად გაიწელოს. მასალის საფუძველი არაკოვალენტური კავშირის ტიპია, რომელიც იონ-დიპოლური ურთიერთქმედების სახელითაა ცნობილი. ასე რომ, თუ მინა დაზიანდება ან გატყდება, მისი იონები და მოლეკულები ერთმანეთისკენ მიიზიდებიან და ზედაპირი სრულად აღდგება. როგორც გამოგონების ავტორები ვარაუდობენ, მათი შექმნილი მასალა კომერციულ გამოყენებას, დაახლოებით, სამ წელიწადში მიიღებს.

რძის შეცვლას ხით აპირებენ

უახლოეს მომავალში, სწავლულები აპირებენ, რძე ხით ჩაანაცვლონ. მათი განცხადებით, ინდური ხე მორინგა, ზუსტად ანალოგური თვისებების მატარებელია. ამ ხის ქერქში, ფოთლებსა და თესლში უფრო მეტი კალციუმია, ვიდრე ჩვეულებრივ რძეში. ეს საშუალებას იძლევა, მორინგასგან დამზადებული ფხვნილი გამოვიყენოთ, როგორც ამ მინერალის – კალციუმის წყარო. გარდა ამისა, ინდური ხე დიდი რაოდენობით შეიცავს „ცე“ და „ა“-ვიტამინებს. ის მორინგაში გაცილებით დიდი რაოდენობითაა, ვიდრე პროდუქტებში, რომელთაც „ვიტამინების საწყობს“ ვეძახით. მკვლევარების თქმით, მორინგას შეუძლია არტერიული წნევის დარეგულირება, ენერგიის მომატება, კონცენტრაციის უნარის ამაღლება და სისხლში შაქრის დონის დარეგულირება. ექსპერიმენტებით ისიც დამტკიცდა, რომ ამ ხისგან დამზადებული საშუალებები აქრობენ ნაოჭებს, ავიწროებენ ფორებს და აუმჯობესებენ სახის კანის ფერს. დიდი ხანია, ინდოელი მკურნალები მორინგას იყენებენ და ახლა, მისი სასარგებლო თვისებები მეცნიერებმაც აღმოაჩინეს. ამ ხით, თურმე, დანაყრებაც შეიძლება და აღსანიშნავია, ისიც, რომ მორინგა საკმაოდ მკაცრ პირობებში იზრდება.

პომიდორი სისხლძარღვებს აღადგენს

ბიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ პომიდორი და საზამთრო ხელს უწყობენ ინფარქტისა და ინსულტის შემდეგ დაზიანებული სისხლძარღვებისა და არტერიების აღდგენას. შესაბამისი კვლევის შედეგები ჟურნალ PLOS ONE -ში გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ ეს ბაღჩეული კულტურები ძალიან სასარგებლო ყოფილა სისხლძარღვებისთვის. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პომიდორსა და საზამთროში არის ლიკოპინი, რომლის დამსახურებაცაა მათი სასიკეთო გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ჩატარებულ კვლევებში 40-მდე მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნაწილს ლიკოპინს აძლევდნენ, ნაწილს – პლაცებოს. აღმოჩნდა, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც რეალურ პრეპარატს იღებდნენ, სისხლძარღვების გამტარუნარიანობა 53%-ით გაუუმჯობესდათ.

ყველაზე ძლიერ ყავას ადუღებენ

სწავლულები მიიჩნევენ, რომ 10 გრამი კოფეინი სასიკვდილო დოზაა მოზრდილი ადამიანისთვის. ავსტრალიაში, ქალაქ ადელაიდაში მდებარე კაფეში Viscous Coffee, ამ რაოდენობის კოფეინს სულ ორი ფინჯანი ყავა შეიცავს. ამ დაწესებულებაში მსოფლიოში ყველაზე მაგარ ყავას ადუღებენ, რომელშიც კოფეინის შემცველობა 80-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ ესპრესოში. ამ სასმელის ყოველი ფინჯანი ადამიანს სიმხნევეს 12-18 საათით ანიჭებს, თუმცა ამ ერთი ჭიქის დალევა ძალიან ნელა, ოთხი საათის განმავლობაშია საჭირო. ყავაში კოფეინის შემცველობის ასამაღლებლად იყენებენ მომზადების ცივ მეთოდს და ხანგრძლივ დაყენებას – 10 დღით მაინც. მიტანის წინ, ამ ცივ ყავას ცხელი მაგარი ესპრესოთი ანელებენ, ყოველ კლიენტს კი, რომელიც მათ ყავას დაუკვეთავს, გულის შესაძლო პრობლემებზე აფრთხილებენ.

თაფლი გულის შეტევისგან იცავს

თაფლის სამკურნალო თვისებებს, რაც კაცობრიობისთვის ათასწლეულების განმავლობაშია ცნობილი, კიდევ ერთი მიემატა – სწავლულებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ნატურალური შაქარი, რომელსაც თაფლი შეიცავს, გულის შეტევებს აღკვეთს. სპეციალისტების თქმით, შაქარი, რომელიც ტრეგალოზას სახელითაა ცნობილი, ააქტიურებს ცილას, რომელიც იმუნური სისტემის სტიმულირებას ახდენს და შედეგად, არტერიებიდან ცხიმის ნადებს გამოდევნის. ეს ნადები, შესაძლოა, ჰიპერტონიის, გულის დაავადებებისა და გულის შეტევის მიზეზი გახდეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტრეგალოზას შეიცავს სოკო და ზღვის პროდუქტები.

„მარტოობის უჯრედები“ აღმოაჩინეს



ამერიკელმა სწავლულებმა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტიდან, ადამიანის თავის ტვინის უკანა ნაწილში აღმოაჩინეს უჯრედები, რომლებიც მარტოობის განცდას არეგულირებენ. როგორც გაირკვა, ურთიერთობების ნაკლებობის დროს, ეს უჯრედები მნიშვნელოვნად აქტიურდებიან. სპეციალისტებმა ეს აღმოჩენა თაგვებზე ჩატარებული ცდებისას გააკეთეს, რომელთა ტვინის ქიმიური შემადგენლობაც ახლოსაა ადამიანის ტვინთან. ცდებისას მკვლევარებმა მღრღნელები სამ ჯგუფად დაჰყვეს – პირველი მათგანი ცალკე ცხოვრობდა და ნარკოტიკულ საშუალებებს იღებდა, მეორე ჯგუფის წევრები ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ პრეპარატებს არ აძლევდნენ, მესამე ჯგუფი კი ცალკე გალიებში იყო და პრეპარატებს არ იღებდა. გარკვეული დროის შემდეგ, იზოლირებული თაგვები სხვა ჯგუფებში გადაიყვანეს. სწორედ ამ დროს დააფიქსირეს სწავლულებმა ტვინის აქამდე, ნაკლებად შესწავლილ უბანზე ნეირონული კავშირის ცვლილებები.

გახდომის მსურველებს ცელულოზას მაკარონს სთავაზობენ

ამოავალი მზის ქვეყანაში, დიეტური პროდუქტების ბაზარზე სიახლე გამოჩნდა – ეს ლაფშაა ცელულოზასგან. ის არ შეიცავს ცხიმებსა და გლუტენს და როგორც დიეტოლოგები ამტკიცებენ, საუკეთესოა არა მხოლოდ გახდომის მსურვეთათვის. მის შემადგენლობაში, პრაქტიკულად, არ არსებობს ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები. ახალი პროდუქტის საფუძველს ხის ქერქი წარმოადგენს, რომელსაც ეგზოტიკურ მცენარე – Amorphallus Konjac-ს ურევენ. ამ ნარევისგან იღებენ ფქვილს, რომელიც ბოჭკოვან მასას შეიცავს და რომელიც დადებით გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე. შემდეგ კი ამ გამდიდრებული ფქვილისგან მზადდება დიეტური საკვები. პროდუქტის ავტორები აღნიშნავენ, რომ 450 გრამი ასეთი ლაფშა, 30 კალორიაზე ნაკლებს შეიცავს, ამდენივე ჩვეულებრივი მაკარონი კი – 1 538 კალორიას.

წითელი ღვინო მარსამდე ჩაგვიყვანს

აშშ-ის კოსმოსური სააგენტოს („ნასა“) მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ წითელი ღვინო ასტრონავტებს მარსამდე გაფრენაში დაეხმარება. მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ნივთიერება რესვერატროლი, რომელსაც წითელი ღვინო და ყურძნის კანი შეიცავს, იცავს ძუძუმწოვრების კუნთებს დაბალი დონის გრავიტაციისას, ან მისი არარსებობისას. სწავლულებმა ექსპერიმენტი ლაბორატორიულ ვირთხებზე ჩაატარეს, მათთვის სპეციალური დანადგარი-იმიტატორი შექმნეს, სადაც არ იყო გრავიტაციული ველი. ამასთან, მღრღნელები თავისუფლად გადადგილდებოდნენ და ურთიერთობდნენ თანამოძმეებთან. ამ „დაკიდებულ მდგომარეობაში“ ორი კვირის გასვლის შემდეგ, თაგვების კიდურების ძალა, დაახლოებით, 5-10%-ით დაქვეითდა, რესვერატროლი კი მთლიანად, ან მნიშვნელოვნად თრგუნავდა ამ ეფექტს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს შედეგი შესაძლებლობას მისცემთ, შექმნან ისეთი პრეპარატები, რომლებიც მარსზე გაფრენისას, ასტრონავტებს კუნთების ატროფიის თავიდან აცილებაში დაეხმარება.

კაცებს გახდა აუკრძალეს

ჩინეთის პროვინცია სანდუნში, ქალაქ ცზინანის ხელისულებამ მამაკაცებს შიშველი ტორსით სიარული აუკრალა. მათი მოსაზრებით, ასეთი ქცევა „ქალაქის იმიჯს ვნებს“. ზაფხულობით, ჩინეთში გავრცელებულია, ეგრეთ წოდებული, „პეკინური ბიკინი“ – დიდი სიცხის გამო, მამაკაცები წელსზემოთ იხდიან და ასე, ნახევრადშიშვლები დადიან არა მხოლოდ პლაჟსა და პარკებში, არამედ, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და რესტორნებშიც კი. ადრე აქაურებს ხელისუფლებამ ნაგვის ყველგან დაყრა და შადრევნებში ფეხების დაბანა აუკრძალა.

ქორწილის სტუმრები ნარჩენებზე აქეიფეს

დიდ ბრიტანეთში, სიძე-პატარძალი ქორწილის სტუმრებს საკვები ნარჩენებით გაუმასპინძლდა. კეილი და ჯო ტილსტონების საქორწინო ცერემონიის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, სუფრა რესტორნების კერძების ნარჩენებით გააწყვეს. მენიუში იყო ზღვის პროდუქტები, ხარის ხორცი, ღორის ნეკნები, ქათამი, ასევე ვეგანური და უგლუტენო კერძები. ახალდაქორწინებულებმა ინგრედიენტების წარმომავლობა საიდუმლოდ შეინახეს. მხოლოდ ბანკეტის ბოლოს გაუმხილეს სტუმრებს, რომ სუფრა ნარჩენებისგან მომზადებული კერძებით გააწყვეს. ამ ინფორმაციამ ბევრი შოკში ჩაგდო, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ყველაფრის მიუხედავად, კერძების დამატება მოითხოვეს. კეილისა და ჯოს თქმით, აუცილებელია ნარჩენების შემცირება მათი გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების გზით. გარდა ამისა, საქორწილო სუფრა ჩვეულებრივზე ხუთჯერ იაფი დაუჯდათ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.